ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

საორტული გაზეთი ხუთშაბათი 9 დეკემბერი 2004 №286 (2307) ფასი 50 თეთრი




ლივერპული 3:1 ოლიმპიაკოსი. „ლივერპულის“ სამერვედფინალო გოლი სტივენ ჯერარდისა იყო



რომა 0:3 რეალი. გოლები იყო, ყიჟინა არა



ბერძნების თავს ზემოთ ძალა არ იყო, ლივერპული იყო

# არ მოიწყინოთ

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ლიგა გოლუხვად დაგვემშვიდობა

## მერვედფინალისტები

| | |
|---|---|
| მონაკო | ლივერპული |
| ლევერკუზენი | რეალი |
| იუვენტუსი | ბაიერნი |
| ლიონი | მანჩესტერი |
| არსენალი | პსვ ეინდჰოვენი |
| მილანი | ბარსელონა |
| ინტერი | ვერდერი |
| ჩელსი | პორტუ |

წილისყრა 17 დეკემბერს ნიონში



თუნჯაიმ „მანჩესტერს“ სამჯერ გაჰკრა ჰბილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა

## ჯგუფური ეტაპი. VI ტური. წუხელ

### A ჯგუფი

**დეპორტივო 0:5 მონაკო**

0:1 ჩევანტონი (21), 0:2 გივე (37), 0:3 სავიოლა (39), 0:4 მაიკონი (55), 0:5 ადებაიორი (76)

დეპორტივო: მუნუა, ექტორი, ჟორჟე ანდრადე, პაბლო ამო, კაპდევილა, ვიქტორი (ლუკე 63), დუშერი (ჩანგი 80), სკალონი, ფრანი (ვალერონი 63), მუნიტისი, პანდიანი

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

მონაკო: რომა, მაიკონი, სკილაჩი, მოდესტო, ევრა (დ. პერესი 61), გივე, ზიკოსი, ბერნარდი, ჩევანტონი (ფარნერუდი 83), სავიოლა (ადებაიორი 70), კალონი

მწვრთნელი: დიდიე დეშანი

მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)

12 000 მაყურებელი

**ლივერპული 3:1 ოლიმპიაკოსი**

0:1 რივალდო (27), 1:1 სინამა-პონიოლი (47), 2:1 მელორი (80), 3:1 ჯერარდი (86)

ლივერპული: კირკლანდი, ფინანი (ხოსემი 85), ჰიიპია, ჯ. ტრაორე (სინამა-პონიოლი 46), კარაგერი, ა. ნუნიესი, ჯერარდი, ხაბი ალონსო, რიისე, კიუელი, ბაროში (მელორი 78)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, ანატოლაკისი, შურერი, პანტოსი, კაფესი, ვენეტიდისი (მ. მარიჩი 84), რივალდო, სტოლტიდისი, ჯორჯევიჩი, გეორგიადისი (რეჟიჩი 71), ჯოვანი (ოკასი 83)

მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი

გაფრთხილება: ხაბი ალონსო (28), პანტოსი (42), კარაგერი (44), ანატოლაკისი (45), ჯერარდი (55), შურერი (80)

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

42 045 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 6 | 4 | 0 | 2 | 10:4 | 12 |
| ლივერპული | 6 | 3 | 1 | 2 | 6:3 | 10 |
| *ოლიმპიაკოსი* | 6 | 3 | 1 | 2 | 5:5 | 10 |
| დეპორტივო | 6 | 0 | 2 | 4 | 0:9 | 2 |

*„მონაკო“ და „ლივერპული“ გავიდნენ მერვედფინალში, „ოლიმპიაკოსი“ უეფას თასზე*

### B ჯგუფი

**რომა 0:3 რეალი**

0:1 რონალდო (9), 0:2, 0:3 ფიგუ (61პ, 82)

რომა: პელიცოლი, მექსეში, ფერარი, დელასი, კუფრე, პეროტა (დე მარტინო 82), აკილანი, კანდელა, მანსინი, დელვეკიო, კორვია

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

რეალი: კასილიასი, სალგადო, ელგერა, სამუელი, რობერტო კარლოსი, ფიგუ (პავონი 82), ბექემი, გუტი, ზიდანი (სელადესი 85), რაული, რონალდო (ოუენი 84)

მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი

გაფრთხილება: დელასი (60), ზიდანი (64), პეროტა (69)

მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)

0 მაყურებელი

**ლევერკუზენი 3:0 დინამო**

1:0 ჟუანი (51), 2:0 ვორონინი (77), 3:0 ბაბიჩი (86)

ლევერკუზენი: ბუტი, ჟუანი, ნოვოტნი, როკე ჟუნიორი, შნაიდერი, რამელო, ბაბიჩი, პონტე (ბალიტჩი 74), ფრაიერი (ბიროფკა 82), ბერბატოვი, ვორონინი

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

დინამო: შოვკოვსკი, საბლიჩი, გიოანე, გავრანჩიჩი, ელ კადური, როდოლფო, გუსინი (ფიოდოროვი 61), რინკონი, ო. გუსევი (ჩერნატი 72), ვერპაკოვსკისი (შაცკიხი 72), კლებერი

მწვრთნელი: იოჟეფ საბო

გაფრთხილება: რამელო (42), ჟუანი (53), ელ კადური (70), პონტე (73)

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

22 500 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:7 | 11 |
| რეალი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:8 | 11 |
| *დინამო* | 6 | 3 | 1 | 2 | 11:8 | 10 |
| რომა | 6 | 0 | 1 | 5 | 4:16 | 1 |

*„ლევერკუზენი“ და „რეალი“ გავიდნენ მერვედფინალში, „დინამო“ უეფას თასზე*

### C ჯგუფი

**აიაქსი 2:2 ბაიერნი**

0:1 მაკაი (9), 1:1 გალაშეკი (38), 2:1 მიტია (64), 2:2 ბალაკი (78)

აიაქსი: ვონკი, ტრაბელსი, გრიგერა (ობოდაი 75), ესკუდე, მაქსველი, სნეიდერი (ვან დერ ვაარტი 75), ნ. დე იონგი, გალაშეკი, მ. როსალესი, რ. ბაბელი, მიტია (ბუხარი 72)

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

ბაიერნი: კანი, კუფური, დემიკელისი, რობერტ კოვაჩი, რაუ, დაისლერი, ბალაკი, ფრინგსი (ზე რობერტო 46), ჰარგრივსი (შვაინსტაიგერი 74), მაკაი, პიზარო (გერერო 46)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: ბაბელი (52), კოვაჩი (54), დაისლერი (55), დე იონგი (59), დემიკელისი (86)

მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია)

50 019 მაყურებელი

**მაკაბი 1:1 იუვენტუსი**

1:0 დაგო (30პ), 1:1 დელ პიერო (71)

მაკაბი: ნირი, აბო-სიამი, სტროოლი, ჯოვანინი, მოოსა, ტ. კოენი, მიშაელოფი (რეისი 75), ზიტონი (მესიკა 82), დაგო, ლ. კოენი, მბამბა (ი. ადო 75)

მწვრთნელი: ნირ კლინგერი

იუვენტუსი: კიმენტი, ძებინა, მონტერო, კანავარო, პესოტო (ძამბროტა 69), კაპო, ტაკინარდი, ბლაზი (აპია 46), ნედვედი, დელ პიერო (იბრაჰიმოვიჩი 74), ზალაიეტა

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: ბლაზი (27), მიშაელოფი (42), კანავარო (43), ნირი (68)

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

22 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 6 | 5 | 1 | 0 | 6:1 | 16 |
| ბაიერნი | 6 | 3 | 1 | 2 | 12:5 | 10 |
| *აიაქსი* | 6 | 1 | 1 | 4 | 6:10 | 4 |
| მაკაბი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:12 | 4 |

*„იუვენტუსი“ და „ბაიერნი“ გავიდნენ მერვედფინალში, „აიაქსი“ უეფას თასზე*

### D ჯგუფი

**ფენერბაჰჩე 3:0 მანჩესტერი**

1:0, 2:0, 3:0 თუნჯაი (47, 62, 90)

ფენერბაჰჩე: რუშთუ, ონდერი, ფაბიო ლუსიანო, სერვეთი, უმით ოზატი, სერქანი (მეჰმეთი 72), სელჩუკი, მარკო აურელიო, ალექსი, თუნჯაი (ფაბიანო 90), ნობრე (სერჰათი 90)

მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი

მანჩესტერი: ჰოვარდი, ფ. ნევილი, ბრაუნი (პიკე 63), ოში, ფორჩუნი, კ. რონალდო, ჯემბა-ჯემბა, ფლეტჩერი, რიჩარდსონი (სპექტორი 69), ლ. მილერი (იგლსი 77), ბელიონი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: მარკო აურელიო (18), ჯემბა-ჯემბა (65)

მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)

35 000 მაყურებელი

**ლიონი 5:0 სპარტა**

1:0 ესიენი (7), 2:0, 3:0 ნილმარი (18, 51), 4:0 იდანგარი (82), 5:0 ბერგონო (90)

ლიონი: პიუდებუა, რეველიერი, ლ. დიატა, ესიენი, ბერტოდი (ტრუშე 81), ჟ. კლემანი, მ. დიარა (ი. გომესი 55), ბერგონო, მალუდა (იდანგარი 81), ნილმარი, ფრო

მწვრთნელი: პოლ ლე გუენი

სპარტა: ბლაჟეკი, პეტრაში, ჰომოლა, რადოსლავ კოვაჩი, ლაბანტი (ურბანეკი 28), პობორსკი, შივოკი, ზელენკა, ვორიშეკი, შიმაკი (მედუნა 64), იუნი (პაჩანდა 79)

მწვრთნელი: ფრანტიშეკ სტრაკა

გაფრთხილება: ბერგონო (90)

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

40 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 6 | 4 | 1 | 1 | 17:8 | 13 |
| მანჩესტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 14:9 | 11 |
| *ფენერბაჰჩე* | 6 | 3 | 0 | 3 | 10:13 | 9 |
| სპარტა | 6 | 0 | 1 | 5 | 2:13 | 1 |

*„ლიონი“ და „მანჩესტერი“ გავიდნენ მერვედფინალში, „ფენერბაჰჩე“ უეფას თასზე*

# მელორდრამა



REUTERS

ნილ მელორის გოლმა „ლივერპული“ გააცოცხლა



REUTERS

„დეპორტივოს“ ცოდვაში ხავიერ სავიოლას ფეხიც ერია

შემოდგომის ჯგუფური რია-რია დასრულდა. ეს ისეთი დასასრულია, რომელიც უკეთეს გაგრძელებას თებერვალში გვპირდება, დეკემბერი კი გუშინ ლიონელმა ბრაიან ბერგონომ დახურა „სპარტახ“ კარში გატანილი მეხუთე გოლით. გახარებულმა ფრანგმა ფოკუსი გააკეთა — მაისურა გაიძრო და შიგნით მეორე ისეთივე ეცვა, მაგრამ მსაჯს ფოკუსი არ მოეწონა და მეგოლეს ყვითელი ბარათი დაუძრო. 0:5 — ასე წააგო პრაღის „სპარტამ“ ჩემპიონთა ლიგაში საიუბილეო 50-ე მატჩი, იუბილეზე საკუთარი გუნდი „სპარტას“ მეკარემ ორი შეცდომით „დაასაჩუქრა“. იაროპმირ ბლაჟეკს ორჯერვე ხელიდან გაუვარდა ბურთი და საინტერესო ისაა, რომ ორივე შემთხვევში ჩასაფრებული მასპინძელთა ბრაზილიელი ნილმარი აღმოჩნდა.

შარშანდელი ნახევარფინალისტი „დეპორტივო“ სამარცხვინოდ დაილექა ჯგუფში ბოლო ადგილზე და თან ექვს მატჩში ერთი გოლიც ვერ გაიტანა. ლაკორუნიელები იმავე „მონაკომ“ გააფარჩაკა, რომელმაც ერთი წლის წინ 8:3 მოუგო. სხვაობა შარშანდელივით ხუთბურთიანია, ხოლო „მონაკო“ პირველ ადგილზე გადაბრძანდა.

„ლივერპულმა“ პირველი ტაიმი რომ წააგო „ოლიმპიაკოსთან“, „ენფილდი“ ნერვიულობდა, მაგრამ შესვენების შემდეგ მასპინძლები ფლორენ სინამა-პონიოლმა გააცოცხლა. მან გაათანაბრა, მერე კი დადგა იმ ყმაწვილკაცის დრო, რომელსაც ნილ მელორი ჰქვია და ბოლო ორი კვირიაში „ლივერპულს“ არაერთხელ უშველა გაჭირვებაში. მელორმა მასპინძლები დააწინაურა, ხოლო შემდეგ თავით დაუგდო ბურთი ჯერარდს და კაპიტანმა ისეთი დააქუხა, რომ „ოლიმპიაკოსის“ ევროჩემპიონი მეკარე ამაოდ გაიჭიმა. ბერძნულ გუნდს საბოლოოდ უეფას თასზე თამაში ერგო, ხოლო უეფას თასის მფლობელი რაფაელ ბენიტესი მერვედფინალში გავიდა.

ჩახლართულ B ჯგუფში ყველაფერი იოლად გაირკვა. ლევერკუზენელებმა ჯაჯგურფეხბურთში სამი გაუტანეს კიევის „დინამოს“, მიუხედავად იმისა, რომ პირველ ტაიმში მეტოქის კარს გასალები ვერ მოარგეს. სახალისო იყო პიერლუიჯი კოლინას თავი, რომელსაც ორთქლი ახალმოყრილი ხინკალივით ასდიოდა.

უმაყურებლო რომში პირველი გოლის გამტანმა რონალდომ „სტადიო ოლიმპიკოს“ ტრიბუნებს მიაყურადა, მაგრამ იქიდან ჩქამი არ ისმოდა, სამაგიეროდ, „რეალის“ სათადარიგოთა სკამზე მსხდომნი ატყაპუნებდნენ ხელებს და მადრიდელთა ტაშისმკვრელნიც ისინი იყვნენ. რონალდომ მერე პენალტიც მოინაგრა და აბა, ფიგუს ვინ დაასწრებდა? პორტუგალიელმა ესეც გაიტანა, ბოლოს კი მცველის თავზე ბურთიც გადაატარა და ისე გაასამა მოხდენილი დარტყმით. კიევის „დინამო“ უეფას თასის მაძიებლებს შეუერთდა, „რომა“ კი სანთებელების მსროლელ ფანებს უმადლოდეს ბოლო ადგილს.

„იუვენტუსმა“, ისევე როგორც „ინტერმა“ და „არსენალმა“, წაუგებლად დაასრულა ჯგუფური ეტაპი, მაგრამ „მაკაბისგან“ ერთი გოლი მაინც გაუშვა. ტურინელთა კარში დანიშნული საეჭვო პენალტი ბარუხ დაგომ გამოიყენა, ხოლო ალესანდრო დელ პიერომ მეორე ტაიმში გაათანაბრა.

ამსტერდამში „აიაქსი“ აგებდა, მერე იგებდა, საბოლოოდ კი მიხაელ ბალაკმა კოხტა თავური დარტყმით „ბაიერნი“ მარცხისგან იხსნა. ორივე თამაშის ფრედ დასრულებით ის გამოვიდა, რომ „აიაქსი“ უეფას თასის გზას დაადგა.

ვაჟა ხუციშვილი

## ინგლისი

**I ლიგა. XX ტური**

შეფილდ უენსდი 2:4 ჰალი

სუინდონი 1:2 ჰადერსფილდი

**II ლიგა. XX ტური**

ოქსფორდი 0:1 სუონსი

ბოსტონი 1:0 რაშდენი

**კონფერენს ლიგა XX ტური**

ნორსვიჩი 1:2 ტემუორთი

## ავსტრია

**მაქსბუნდესლიგა XXI ტური**

რაპიდი 2:2 ტიროლი

ზალცბურგი 0:1 პაშინგი

ბრეგენცი 1:1 შტურმი

გრაცერი 5:2 ადმირა

## უნგრეთი

**თასის მესამე ეტაპი**

პეჩი 1:3 ფერენცვაროში

## იტალია

**სერია C1/A. XIV ტური**

კრემონეზე 0:1 ფროზინონე

ლუმეცანე 1:1 პრატო

პიზა 2:2 ნოვარა

პისტოიეზე 1:0 პავია

გროსეტო 0:0 ფ. ანდრია

სანჯოვანეზე 3:1 აკირეალე

ვიტორია 0:0 ს. ტორესი

პრო პატრია 1:0 სპეცია

კომო 1:1 ლუკეზე

**სერია C1/B XIV ტური**

ლანჩანო 1:1 სამბენედეტეზე

პადოვა 2:1 კიეტი

მარტინა 1:1 პეზარო

სორა 0:1 ბენევენტო

სპალ 1:1 ტერამო

ფოჯა 4:1 ნაპოლი

ფერმანა 0:2 რეჯანა

ჯულიანოვა 0:0 ჩიტადელა

რიმინი 1:1 აველინო

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## E ჯგუფი

## ვენგერმა სამაია დაგეგმა

### პანათინაიკოსს ნიკოლაიდისი დაუხურეს





არსენალი — რუსენბორგი. ფაბრეგასის გოლს ვენგერმა კი არა, ალბათ მთელმა ევროპამ დაუკრა ტაში

**არსენალი 5:1 რუსენბორგი**
1:0 რეიესი (3), 2:0 ანრი (24), 3:0 ფაბრეგასი (29), 3:1 ჰოფტუნი (38), 4:1 პირესი (41პ), 5:1 ვან პერსი (84)
**არსენალი:** ალმუნია, ჰოიტი, ტურე, კემპბელი, ე. კოული (ვან პერსი 75), პირესი (ოვუსუ-აბეი 88), ფაბრეგასი, ფლამინი, რეიესი, ანრი, ბერხკამპი (კლიში 72)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
**რუსენბორგი:** ე. იონსენი, ჰოფტუნი, სოლი, ტ. ჰანსენი, სტენსაასი, ვინსნესი (ო. ოლსენი 89), სტრანდი (ჯორჯი 62), ფ. იონსენი, ბრატბაკი, ჰელსტადი, ბრაატენი
მწვრთნელი: პერ-იოარ ჰანსენი
გაფრთხილება: ე. იონსენი (51), ფლამინი (62)
მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)
35 421 მაყურებელი

„ჩვენ ზედიზედ სამი მატჩის მოგება დავისახეთ მიზნად. გასულ უქმეებზე „ბირმინგემს“ ვძლიეთ, ახლა „რუსენბორგსაც“ ვაჯობეთ და კვირას „ჩელსისაც“ უნდა მოვუგოთ. ორი ამოცანა ამოხსნილია და ახლა მესამე, ანუ „ჩელსი“ დაგვრჩა“ — განაცხადა „არსენალის“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა.

„ჰაიბერიზე“ ნორვეგიელთა რბევა თამაშის დაწყებიდან ნახევარ საათში უკვე დასრულებული იყო, რადგან „რუსენბორგის“ მეკარე იონსენმა ბურთის კარიდან სამჯერ გამოტანა მოასწრო. მესამე, რომელიც ფრანსისკ ფაბრეგასმა გაუტანა, გამორჩეულად ლამაზი გამოდგა. 17 წლის ესპანელმა მეურვეს ბურთი თავზე გადაავლო და ცხრიანში შეჭედა.

ანგარიში კი ხოსე ანტონიო რეიესმა მესამე წუთზევე, დენის ბერხკამპის პასით გახსნა. დიდი ხანია, ჰოლანდიელი ძირითად შემადგენლობაში არ გამოჩენილა და დაბრუნებულმა ძველებურად რიგიანად ითამაშა. შემდეგ ტიერი ანრიმ იხეირა, პირველი ტაიმის მიწურულს კი მეტოქეებმა თითო გოლი გაცვალეს — ჰოფტუნმა მანუელ ალმუნიას შეცდომით ისარგებლა. მეკარემ უშნოდ მოიგერია ბურთი, რომელიც ნორვეგიელმა მასპინძელთა დაუცველ კარში შეაბრუნა. ამის მერე კი მსაჯმა „არსენალის“ სასარგებლოდ პენალტი დანიშნა და რობერ პირესმაც თერთმეტი მეტრიდან გაიტანა. მეორე ტაიმის ბოლოს რობინ ვან პერსიმ გაახუთა და „ჩელსისთან“ მატჩის წინ „არსენალს“ ხასიათი გამოუკეთდა, თუმც არსენ ვენგერს ჯერ ვერ გადაუწყვეტია, „არისტოკრატებთან“ შეხვედრაში კარის დაცვა ალმუნიას ანდოს თუ იენს ლემანს. ორივე საკმაოდ ხშირად ცდება და ფრანგი მწვრთნელიც არჩევანის წინაშეა.

**პანათინაიკოსი 4:1 პსვ ეინდჰოვენი**
1:0 პაპადოპულოსი (30), 1:1 ბესლი (38), 2:1, 3:1 მიუნხი (45პ, 57), 4:1 სანმარტიანი (81)
*ვან ბომელმა ვერ გაიტანა პენალტი (68, მეკარე)*
**პანათინაიკოსი:** გალინოვიჩი, ვინტრა, კირიაკოსი, მორისი, მიუნხი, ბასინასი, ს. მარიჩი (მიტუ 85), ე. გონსალესი (გუმასი 79), პ. კონსტანტინიდისი, პაპადოპულოსი, ოლისადებე (სანმარტიანი 72)
მწვრთნელი: ზდენეკ შჩასნი
**პსვ ეინდჰოვენი:** გომესი, ჩ. ფეჰერი (ვონლანტენი 64), ალექსი (ლამეი 76), ბუმა, ი. ლი, ვან ბომელი, კოკუ, ფოგელი, პარკი, ფარფანი, ბესლი
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
გაფრთხილება: გომესი (45), მარიჩი (59), ალექსი (67), გალინოვიჩი (68), ვან ბომელი (90)
მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)
10 196 მაყურებელი

ათენში „პანათინაიკოსმა“ პსვ-ს ძლევა[illegible] გა[illegible]ა და [illegible] გადაინაცვლებს. მასპინძლებისთვის ეს გამარჯვება განსაკუთრებული გამოდგა, რადგან „აპოსტოლოს ნიკოლაიდისის“ სტადიონზე ევროთასების მატჩის გამართვა უეფამ „პანათინაიკოსს“ ამიერიდან აუკრძალა. ეს სტადიონი უკვე ავარიულ მდგომარეობაშია.

ბერძნები პაპადოპულოსის გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ დამარკუს ბესლიმ მეტოქე მცველები ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას გამოიჭირა და გაათანაბრა. პირველი ტაიმის მიწურულს პსვ-ს მეკარე გომესმა პაპადოპულოსი საპენალტეში წააქცია, მარკუს მიუნხმა კი თერთმეტი მეტრიდან იხეირა.

შესვენების შემდეგ მიუნხმა ძელ-გოლი შეაგდო, ხოლო მარკ ვან ბომელმა პენალტი ვერ გამოიყენა — მეკარემ აჯობა. სამაგიეროდ, ლუსიან სანმარტიანმა თამაშის მიწურულს პსვ-ს მეოთხე გაუტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 6 | 2 | 4 | 0 | 11:6 | 10 |
| პსვ ეინდჰოვენი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:7 | 10 |
| *პანათინაიკოსი* | 6 | 2 | 3 | 1 | 11:8 | 9 |
| რუსენბორგი | 6 | 0 | 2 | 4 | 6:13 | 2 |

*„არსენალი“ და „პსვ ეინდჰოვენი“ გავიდნენ მერვედფინალში, „პანათინაიკოსი“ უეფას თასზე*

# ძია ძოლა აძურაში

## ლიპიმ კალიარის კაპიტანი კრებაზე დაპატიჟა

*მარჩელო ლიპიმ სიტყვა ისე გადაჰკრა, ემანდ „კალიარის“ 38 წლის ვარსკვლავი თუ ვარსკვლავყოფილი ჯანფრანკო ძოლა არ დააბრუნოს იტალიის ნაკრებში. მაესტრომ ასე ბრძანა*




„სკუადრა აძურას“ კარი ყველასთვის ღიაა. ზოგ შეხვედრაში შეიძლება 38 წლის კაციც კი გამოიყენო. მთავარია ის, ვინც აქ მოვა, ენთუზიაზმით იყოს სავსე“.

მოგეხსენებათ, „პარმასა“ და „ჩელსიში“ ნათამაშევი ძოლა ამჟამად ჩვეული პატიოსნებით ემსახურება მშობლიური სარდინიის გუნდს, რომელიც თამამად ჩახედეთ სერია A-ს ცხრილს, — მე-4 ადგილზეა.

„როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გუნდის შერჩევას დავიწყებ, იმედი მაქვს, რომ თავდაპირველ სიაში 30-40 კაცის გვარს ჩამოვწერ. როცა ნაკრების მწვრთნელად დამნიშნეს, სერია A-ს ბევრ გუნდს ვეწვიე და სწორედ მაშინ მკითხა ძოლამ, თუ შეიძლება კრებაზე დაგესწროთო. მე ვუპასუხე, რომ ჩემი გუნდის კარი ყველასთვის ღიაა“.

ჩავხედოთ სტატისტიკას: ჯანფრანკო ძოლამ „სკუადრა აძურას“ აძურა (ცისფერი) მაისური ბოლოს 1997 წლის 11 ოქტომბერს ჩაიცვა. ეს იყო მატჩი, რომელშიც იტალიამ და ინგლისმა 0:0 ითამაშეს.

„ზოგადად ძალიან მახარებს ნაკრებში მოწვეული ფეხბურთელების მოწადინება. ჩემი ახალ სამსახურში ყოფნის პირველი ექვსი თვე, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამის გამო მომეწონა. მეგონა მონდომება საჩვეწარი მექნებოდა, მაგრამ ბიჭების ენთუზიაზმი რომ ვნახე, თავად ავღელდი“ — ამბობს ლიპი.

მარჩელო ლიპი გარდა ამისა, შეეხო სერია A-ს ჩემპიონატის მიმდინარეობას და განაცხადა, რომ ჯერ ყველაფერი მხოლოდ ორი გუნდის დუელამდე არ არის დასული. 18 დეკემბრის „მილანი“ — „იუვენტუსი“ ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი იქნება, მაგრამ გადამწყვეტი არამც და არამცო.

**ბაჩუნა ძიდია**



# ანრი ანრი თუ ანრიეტა ანრი?

*„არსენალის“ დიდი ვარსკვლავი, ფრანგი თავდამსხმელი ტიერი ანრი თავის „რენო კლიოში“ იჯდა და სულ ო ლა ლას იძახდაო, გვამცნობს ყოვლისმცოდნე ინგლისური გაზეთი „სანი“, რომელსაც არაფერი ეპარება და, მით უმეტეს, არ გამოეპარებოდა ის ამბავი, რომ მადამ ნიკოლ ანრი, მისი და მეუღლის პირველ შვილს ელის. მადამ ანრი 24 წლის ბრიტანელი მოდელია. ტიერიმ სიხარულით განაცხადა, რომ ნიკოლთან შვილის ყოლა მისი დიდი ხნის ოცნება იყო, ხოლო „სანის“ ლაზღანდარა თანამშრომლებმა დაიწყეს ბავშვის სახელების ვარიანტების ჩამოწერა. მაგალითად, ერთ ვერსიად ანრის ვაჟიშვილს სახელადაც ანრი შეურჩიეს, ხოლო ქალიშვილს — ანრიეტა.*

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

## F ჯგუფი

# რაიკარდმა იანუკოვიჩი გადააგდო

**სელტიკი 0:0 მილანი**

**სელტიკი:** პედმანი, ბალდე, ვალგაერენი (ა. კამარა 5), ვარგა, მაკნამარა, ს. პეტროვი (ჟუნინიო პაულისტა 77), ა. ტომპსონი, ლენონი, სატონი, ჰართსონი, მაკგიდი
**მწვრთნელი:** მარტინ ონილი
**მილანი:** დიდა, კოლოჩინი, ნესტა, მალდინი, კოსტაკურტა, დორასო (კაკა 86), ამბროზინი, ბროკი, სერჟინიო, რუი-კოშტა (ზეედორფი 80), შევჩენკო (კრესპო 63)
**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი
**გაფრთხილება:** ლენონი (37), კამარა (71), ბროკი (75)
**მსაჯი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
**59 228 მაყურებელი**

ჯენარო გატუზო გლაზგოში დაბრუნდა, თუმც კარლო ანჩელოტიმ, „მილანის" მწვრთნელმა ის არ ათამაშა „სელტიკ პარკზე", რომელზედაც ოდესღაც „გლაზგო რეინჯერსის" ფეხბურთელ რინოს მრავალჯერ გაუგორებია ბურთი.

ანჩელოტი ამ ფაქტს ასე ხსნის: „რინოს თვალებში რომ ჩავხედე, შევნიშნე, როგორ სწყუროდა მინდორზე გასვლა, მაგრამ გეტყვით, იგი შეგნებულად არ ვათამაშე. არა იმიტომ, რომ მე ის „სელტიკის" ფანებს მოვარიდე, არამედ, მინდოდა, დაესვენა. წინ ხომ უმნიშვნელოვანესი მატჩები გველის".

ასეა თუ ისე, გლაზგოურმა 0:0-მა „მილანი" ჯგუფის ლიდერად დატოვა, „სელტიკი" კი ევროპას გამოემშვიდობა.

ისევ ანჩელოტი: „ნამდვილად არ ველოდი, თუ „ბარსელონა" დონეცკში წააგებდა და ვწუხვარ, „სელტიკს" ბოლო იმედიც რომ წავართვით, მაგრამ სხვა რა უნდა გვექნა? ჩვენ პირველი ადგილით გვსურდა მერვედფინალში გასვლა და გლაზგოელებს სამ ქულას ხონჩით ვერ მივართმევდით".



„სელტიკის" მწვრთნელი მარტინ ონილი კი კლუბის ერთგულ გულშემატკივრებს უბოდიშებს, ევროპას უსახელოდ დავემშვიდობეთ, მაგრამ შევეცდებით, დანაკარგი შინაური ტიტულებით (ჩემპიონატი და ასოციაციის თასი) ავინაზღაუროთ.

სულ კი მატჩში მომენტები თითებზე ჩამოსათვლელი იყო. მილანელთაგან სერჟინიოს და შევჩენკოს დარტყმები გამოდგა დასამახსოვრებელი, ხოლო მასპინძელთაგან ჰართსონისა და სატონისა, თუმც სტუმართა ბრაზილიელმა მეკარე დიდამ ორჯერვე ბრწყინვალედ ითამაშა.

„ვფიქრობ, ამ მატჩშიც დავამტკიცეთ ჩვენი სიძლიერე — თქვა ნამატჩევს ანდრეი შევჩენკომ, რომელსაც გამოჯანმრთელების მერე ორ მატჩში გოლი არ გაუტანია — მართალია, ვერ მოვიგეთ, მაგრამ ჯგუფში საუკეთესოობას ნაღდად ვიმსახურებდით. ახლა მშვიდად დაველოდებით კენჭისყრას და მთელ ყურადღებას სერია A-ზე გადავიტანთ".

**შახტარი 2:0 ბარსელონა**

1:0, 2:0 აგაჰოვა (14, 21)
*ინიესტამ ვერ გაიტანა პენალტი (90, ძელს)*
**შახტარი:** ლაშტუვკა, ბარკაუანი, პუბშმანი, სტოიკანი (ჩიგრინსკი 89), სრნა (ლალატოვიჩი 82), დულიაი, ლევანდოვსკი, მატუზალემი, ვუკიჩი, ბრანდაო (ვორობეი 46), აგაჰოვა
**მწვრთნელი:** მირჩა ლუჩესკუ
**ბარსელონა:** ვ. ვალდესი, ბელეტი (მარკესი 57), პუიოლი (ოლეგერი 46), ვან ბრონკჰორსტი, სილვინიო, ფ. ნავარო, ხავი, ინიესტა, მესი, ვერდიუ, ფრანსისკო (როდრი 46)
**მწვრთნელი:** ფრანკ რაიკარდი
**გაფრთხილება:** მატუზალემი (55), დულიაი (63)
**მსაჯი:** კლაუს-ბო ლარსენი (დანია)
**25 000 მაყურებელი**

დონეცკში სიცივესა და ყინვაში 25 000 ქომაგი იმ იმედით მივიდა სტადიონზე, რომ, ჯერ ერთი, საყვარელი გუნდი მოიგებდა და უეფას თასზე გააგრძელებდა ბრძოლას და მეორეც, ბარსელონელ ვარსკვლავებს — რონალდინიოს, ეტოოს და დეკოს ცოცხლად ნახავდა.

პირველი აუხდათ და ძალიანაც გაიხარეს, აი, მეორეზე კი... კარგ ხასიათზე იყვნენ ნამატჩევს მეგობრები, „შახტარის" პრეზიდენტი რინატ ახმეტოვი და ვიქტორ იანუკოვიჩი, უკრაინის პრეზიდენტობის მსურველი პრემიერ-მინისტრი.

ფრანკ რაიკარდმა კი იმედები გაუცრუა დონეცკელ ქომაგს — რონალდინიო-დეკო-ეტოოს სამეული არ ათამაშა, მაგრამ რას ვერჩით, კაცი სწორად მოიქცა, მოყინულ მოედანზე სირბილს და ტრავმებს მოარიდა ლიდერები.

რუმინელმა მირჩა ლუჩესკუმ კი საპირისპიროდ, უძლიერესი შემადგენლობა გაიყვანა: დონეცკელებმა აქტიურად ითამაშეს და დამსახურებულადაც მოიგეს. ნიგერიელმა ჯულიუს აგაჰოვამ 21 წუთში ორჯერ დაამწუხრა ვიქტორ ვალდესი. „ბედნიერი ვარ, ორი გოლი შევაგდე და უეფას თასზეც გავედით. რა მნიშვნელობა აქვს, მეტოქემ მეორე შემადგენლობით ითამაშა თუ მესამეთი, ჩვენ „ბარსელონას" მოვუგეთ და ეს საამაყოა" — ამბობს აგაჰოვა.

ფრანკ რაიკარდმა, კატალონიელთა თავკაცმა კი ასეთი კომენტარი გააკეთა: „ვწუხვარ, რომ წავაგეთ, მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ჩვენ ძლიერ, კარგად ორგანიზებულ და მომზადებულ გუნდთან დავმარცხდით. ვინც დღეს ვათამაშე, მჯერა, ისინი დიდ გამოცდილებას მიიღებენ. ლეო მესი, ვერდიუ, ფრანსისკო, როდრი და ფერნანდო ნავარო „ბარსელონას" მომავალია".

„ნამდვილი შოუ იყო, მადლობა ბიჭებს. თავი დადეს და დაუფასდათ კიდეც, სხვას ვერაფერს ვიტყვი" — ასე ხარობდა თამაშის შემდეგ „შახტარის" მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუ.

**გიორგი ვაშაკიძე**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:3 | 13 |
| ბარსელონა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| შახტარი | 6 | 2 | 0 | 1 | 5:9 | 6 |
| სელტიკი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:10 | 5 |

*„მილანი" და „ბარსელონა" გავიდნენ მერვედფინალში, „შახტარი" უეფას თასზე*

## G ჯგუფი

# გაუშვა და დაბნელდა

## თავმოჭრილი ვალენსია რანიერიმ დაიცვა

**ვალენსია 0:2 ვერდერი**

0:1, 0:2 ვალდესი (83, 90)
**ვალენსია:** კანისარესი, კურო ტორესი, მ. კანეირა, დ. ნავარო, მორეტი, ანგულო, ბარახა, მარჩენა, ხისკო (ვისენტე 61), აიმარი (დი ვაიო 61), მისტა (კორადი 61)
**მწვრთნელი:** კლაუდიო რანიერი
**ვერდერი:** რაისე, პასანენი, ბაუმანი, ისმაელი, სტალტერი, დ. იენსენი (მანინი 44), ერნსტი, მიკუ, ბოროვსკი, კლოზე (კლასნიჩი 90), ხარისტიასი (ნ. ვალდესი 81)
**მწვრთნელი:** თომას შააფი
**გაფრთხილება:** ბაუმანი (11), მარჩენა (17), ერნსტი (48), კანისარესი (83), კორადი (84), ნავარო (89), ვისენტე (90), ბოროვსკი (90), ისმაელი (90)
**გაძევება:** ანგულო (90)
**მსაჯი:** ანდერს ფრისკი (შვედეთი)
**42 000 მაყურებელი**

ვალენსიაში გამარჯვებით „ვერდერი" მერვედფინალში გავიდა, დამარცხებული „ვალენსია" კი ჯგუფში ჩარჩა. მთავარი ამბები „მესტალიაზე" მაშინ დატრიალდა, როცა მასპინძლებმა თამაშის გადარჩენის იმედი დაკარგეს და მეტოქეზე ჯავრის ყრა არასაფეხბურთო ილეთებით გადაწყვიტეს. თუმცა იქამდე თითქმის მთელი მატჩი იყო, რომლის განმავლობაშიც ესპანელები ამაოდ ცდილობდნენ გერმანელთა კარის დალაშქვრას. სტუმართა დაცვის ხაზი, ფრანკ ბაუმანის მეთაურობით, შეუდარებელი გახლდათ.

მტკიცებაც არ უნდა, „ვალენსიამ" დიდი მონდომებით დაიწყო თამაში, მაგრამ გოლი არ ჩანდა. დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე კლაუდიო რანიერიმ შემტევთა ახალი ტრიო ჩართო ბრძოლაში. ვისენტემ, მარკო დი ვაიომ და ბერნარდო კორადიმ აშკარად მეტი სიმწვავე შემატეს ვალენსიელთა იერიშებს, დი ვაიოს დარტყმული ძელმაც აისხლიტა, მაგრამ გოლი კვლავაც არ ჩანდა.

და როგორც ხშირად მომხდარა, გოლი იმ გუნდმა გაიტანა, რომელიც მეტწილად თავს იცავდა და კონტრიერიშებით ცდილობდა ფონს გასვლას. 81-ე წუთი იყო, როცა თომას შააფმა ხარისტიასი ნელსონ ვალდესით შეცვალა და დარჩენილ ცხრა წუთში პერუელმა ორი გოლი შეაგდო.

სწორედ ამის მერე იყო, ვალენსიელებმა სხვანაირად რომ გადაწყვიტეს ანგარიშსწორება. მადრიდული „მარკა" წერს: „ვალენსიამ" თამაში წააგო და ჯგუფიდან ვერ გავიდა, მაგრამ ამასთანავე თავიც შეირცხვინა". ბარსელონურმა „ელ მუნდო დეპორტივომ" კი დაწერა: „ვალენსია" სამარცხვინოდ დაემშვიდობა ჩემპიონთა ლიგას. გოლის გაშვების მერე ჩვენ „ვალენსიას" ბნელი მხარე დავინახეთ".

თუმც ერთი კაციც გვეგულება, რომელიც სრულიად ამართლებს მუშტებზე მოცქრალ ფეხბურთელებს და მათ შორის მიგელ ანხელ ანგულოს, ვინაც ტიმ ბოროვსკის შეაფურთხა. ეს კაცი კლაუდიო რანიერია, რომელმაც სატელევიზიო ინტერვიუში თქვა: „ახლა კი მესმის იმ რომაელი გულშემატკივრების, რომლებმაც ანდერს ფრისკს თავი გაუტეხეს. ფრისკი ჩვენს მატჩს ისე საზიზღრად მსაჯობდა, შეუძლებელი იყო, ფეხბურთელებისთვის დამშვიდება მოგეთხოვა".

ანდერს ფრისკის მსაჯობაზე რა გითხრათ, „ვალენსიას" მწვრთნელს კი ეგებ ძვირად დაუჯდეს ამგვარი კომენტარი.



**ხელჩართულ ჩხუბში გამშველებლობა ანდერს ფრისკმა იკისრა**

**ინტერი 3:0 ანდერლეხტი**

1:0 კრუზი (33), 2:0, 3:0 მარტინსი (60, 63)
**ინტერი:** კარინი, ზე მარია, ბურდისო, მატერაცი, პასკუალე, კარაგუნისი, კ. ძანეტი (ემრე 59), დავიდსი, რეკობა, ხ. კრუზი, ო. მარტინსი (დელაფიორე 70)
**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი
**ანდერლეხტი:** ვან შტეენბერგი, ძევლაკოვი, კომპანი, ლ. ტრაორე, დეშახტი (ვანდენ ბორე 31), ბ. პასი (გერკი 81), ვანდერეგე, ვილჰელმსონი (ლოვრე 75), ბასეჯიო, დინდანე, ლეგარი
**მწვრთნელი:** უგო ბროოსი
**გაფრთხილება:** პასი (34)
**მსაჯი:** მაიკ რაილი (ინგლისი)
**21 849 მაყურებელი**

„ანდერლეხტი" იოლი ლუკმა უნდა გამხდარიყო „ინტერისთვის" და ასეც მოხდა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ „ინტერს" იქამდეც განაღდებული ჰქონდა ჯგუფიდან გასვლა, ადრიანოც დისკვალიფიცირებული იყო და მანჩინიმ სანახევროდ მეორე შემადგენლობა გაიყვანა მოედანზე.

ნამატჩევს კი მანჩინიმ თქვა: „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფიდან პირველი ადგილით გავედით. მსიამოვნებს, რომ ფეხბურთელები სატურნირო თვალსაზრისით არაფრისმომცემ შეხვედრას მთელი სერიოზულობით მიუდგნენ". მერე კი მანჩინი მასხრობის გუნებაზეც დადგა: „ჩვენ ისე კარგად ვითამაშეთ, რომ დიდი თავსატეხი გამიჩნდა — აღარ ვიცი მომდევნო მატჩებისთვის სასტარტო შემადგენლობა როგორ შევარჩიო."

ამგვარად, „ინტერი" სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგაშიც დაუმარცხებელია, ბელგიელთა მწვრთნელმა უგო ბროოსმა კი მეექვსე მარცხი ტრავმებს დააბრალა.

**ირაკლი ნინიძე**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 6 | 4 | 2 | 0 | 14:3 | 14 |
| ვერდერი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:6 | 13 |
| ვალენსია | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 7 |
| ანდერლეხტი | 6 | 0 | 0 | 6 | 4:17 | 0 |

*„ინტერი" და „ვერდერი" გავიდნენ მერვედფინალში, „ვალენსია" უეფას თასზე*

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

H ჯგუფი

# არ მიხარია, შტერებო!

## მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტი იყო



პორტუ — ჩელსი. მაურინიუს ყოფილმა და ახლანდელმა გუნდებმა ერთმანეთი არ დაზოგეს

**პორტუ 2:1 ჩელსი**

0:1 დაფი (34), 1:1 დიეგო (61), 2:1 მაკკარტი (86)
**პორტუ:** ნუნუ, სეიტარიდისი, ჟორჟე კოშტა, არეიაში, პ. ემანუელი, მანიშე, კოშტინია, დიეგო (პეიშოტო 78), ლუის ფაბიანო (პოსტიგა 75), დერლეი სილვა (კვარესმა 60), მაკკარტი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
**ჩელსი:** პ. ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, ბრიჯი, გალასი, სმერტინი (ტიაგუ 66), ლამპარდი, დაფი (რობენი 76), პარკერი, დროგბა (კეჟმანი 78)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: ჟორჟე კოშტა (14), სმერტინი (38), დიეგო (61), ტიაგუ (74)
მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
42 409 მაყურებელი

დავაკვირდეთ: „პორტუცა" და „ჩელსიც" ჟოზე მაურინიუს გუნდებია, ყოფილი და ახლანდელი. პირველი ტაიმი მოიგო „ჩელსიმ", თამაში კი „პორტუმ", ანუ შესრულდა ეგრეთ წოდებული ტაიმ-ბოლი, რისი გამოცნობისთვისაც ტოტალიზატორები თქვენს შეტანილ თანხას დიდ კოეფიციენტზე ამრავლებენ და ისე გიბრუნებენ. მერედა, მატჩი, როგორც ვთქვით, მოიგო „პორტუმ", რაც იმას ნიშნავს, რომ მისი და „ჩელსის" შეხვედრის შედეგმა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან გააგდო პარიზში მოგებული მოსკოვის ცსკა, ხოლო პორტუგალიური გუნდი მერვედფინალში გაიყვანა.

ახლა ასე დავაკვირდეთ: „ჩელსიცა" და მოსკოვის ცსკა-ც ჩუკოტკის გუბერნატორისა და ოლიგარქის რომან აბრამოვიჩის ფინანსური ჯგუფის გუნდებია. თუ გნებავთ, ნუ დავზღართავთ და პირდაპირ ვთქვათ: ერთიცა და მეორეც აბრამოვიჩის გუნდია ანუ რუსი ოლიგარქი სამშაბათ საღამოს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ორი გუნდის გასვლის შესაძლებლობის წინაშე იდგა. იცით, პირდაპირ და ირიბად რამდენ ფულს და რა კონტრაქტებს ნიშნავს ეს?

და რა იყო ამისთვის საჭირო? წარმოუდგენელი არაფერი, გაძლიერებულ „ჩელსის" დასუსტებული „პორტუ" უნდა დაემარცხებინა, უფრო სწორად კი შეენარჩუნებინა ანგარიში, რომელიც „დრაგაუს" ტაბლოზე 61-ე წუთამდე ენთო. მოკლედ, დასკვნები თქვენთვის მოგვინდია...

„პორტუს" მწვრთნელი ვიქტორ ფერნანდესი: „ძალიან ბედნიერი ვარ. მიხარია, რომ ჩვენს ქომაგებს, პრეზიდენტს ამხელა წარმატებას ვუძღვნით. ჩვენ დღითიდღე ვმუშაობდით და გვერწმუნეთ, იქ მოვხვდით, სადაც ვიმსახურებდით ყოფნას. ჩვენ შეტევის ალღო და სიმშვიდე მთელი თამაშის განმავლობაში არ დაგვიკარგავს. ფეხბურთელებმა ყურადღება წამით არ მოადუნეს და სანაცვლოდ მერვედფინალში გასვლით დაჯილდოვდნენ".

„ჩელსის" მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ: „მე არ მიხარია „პორტუმ" რომ მოიგო. მე პროფესიონალი ვარ და ამის გაგება მხოლოდ შტერებს უჭირთ. „პორტუს" მწვრთნელი რომ ვიყავი, მინდოდა ყველა შეხვედრა „პორტუს" მოეგო. დღეს „ჩელსის" მწვრთნელი ვარ და მინდა ყველა შეხვედრაში „ჩელსი" იყოს გამარჯვებული. საბოლოოდ „პორტუმ" გამარჯვება კი დაიმსახურა, მაგრამ ჯგუფში საუკეთესო მაინც ჩვენ ვართ. როდესაც ანგარიში 1:1 გახდა, ჩემი გუნდი გრძნობდა, რომ თამაშს მაინც აკონტროლებდა და იცოდა, რომ მისთვის ეს ანგარიშიც ძალიან კარგი იყო, თუმცა „პორტუს" სულ სხვა განწყობა ჰქონდა, რადგან პარიზში მიმდინარე თამაშის ანგარიში იცოდა. მოკლედ, მასპინძლებს ჟინი და ინტერესი ბოლომდე გაცილებით მეტი ჰქონდათ".

**პსჟ 1:3 ცსკა**

0:1 სემაკი (28), 1:1 პანკრატი (37), 1:2, 1:3 სემაკი (63, 70)
**პსჟ:** ლეტიზი, პიშო (ლიუბოია 73), პიერ-ფანფანი, იეპესი, არმანი, კორიდონი (ბოშკოვიჩი 62), ჩანა, მბამი (მენდი 7), ე. სისე, პანკრატი, პაულეტა
მწვრთნელი: ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი
**ცსკა:** აკინფეევი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, რ. გუსევი, ალდონინი (ვ. ბერეზუცკი 58), რახიმიჩი, ჟირკოვი, იაროშიკი (ლაიზანსი 90), სემაკი, ვაგნერი
მწვრთნელი: ვალერი გაზაევი
გაფრთხილება: შემბერასი (62), შემბერასი (54), პიერ-ფანფანი (59), მენდი (80), მენდი (90), ჟირკოვი (90)
გაძევება: შემბერასი (54), მენდი (90)
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
55 000 მაყურებელი

რუსებს უყვართ ხოლმე თქმა — ქართველებისგან, მართალი გითხრათ, ნაკლებად მსმენია — პარიზი მანახა და მომკლაო. აი, სწორედ ეგ დაემართა ცსკა-ს; პარიზი ნახა — თან ისე, უკეთესს რომ ვერ ინატრებდა, ყოვლად დაგლახებულ „პარი სენ ჟერმენს" 3:1 მოუგო — და ჩემპიონთა ლიგაში ცხოვრება დაასრულა. მიზეზი: ჯგუფის პარალელურ შეხვედრაში „პორტუმ" „ჩელსის" სძლია. აღსანიშნავია, რომ მოსკოველებთაგან სამივე გოლი სერგეი სემაკმა გაიტანა და კიდევ, 1:1-ის შემდეგ, ორი ბურთი მოსკოველებმა რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილებმა შეაგდეს. ერთი სიტყვით, ცსკა-მ ძალიან დიდი მობილიზების ფასად მიაღწია მიზანს, მაგრამ ვაგლახ, ვერ მიაღწია მიზანს, რომელიც... „სიცოცხლეზე მეტია".

„დღეს ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან გავიმარჯვეთ, მაგრამ იმავდროულად ეს სიხარული გულის გატეხვასთანაც არის დაკავშირებული, რადგან შემდეგ ეტაპზე ვერ გავედით — განაცხადა მატჩის შემდეგ მოსკოველების მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა — პირველივე წუთიდან კონცენტრირებულნი ვიყავით, ჩვენს დაცვას კი დიდი დატვირთვა არ დაღგომია, რადგან ძირითადად ვუტევდით. ერთადერთი, შემბერასის გაძევების შემდეგ მოგვიწია საგანგებოდ კონსოლიდირება. ვფიქრობ, სტადიონზე მოსულმა 40 ათასმა მაყურებელმა თავისი თვალით ნახა, რომ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი, რომელმაც ორ გუნდს შორის საბოლოო განსხვავება განაპირობა, სემაკი იყო. ერთადერთი, რაზეც დღეს გული მწყდება, „ჩელსისთან" შეხვედრაში აცილებული პენალტია. „პორტუსა" და „ჩელსის" შეხვედრის ანგარიში კი საფინალო სასტვენამდე არ ვიცოდით. გვეგონა, „ჩელსი" არ დამარცხდებოდა, მაგრამ ეს, როგორც ნახეთ, არ მოხდა. იმედი მაქვს, რომ ჩემი გუნდებისგან ფრანგული გუნდების ძლევის ტრადიცია მომავალშიც გაგრძელდება".

„პარი სენ ჟერმენის" თავკაცი ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი: „ჩვენს დღევანდელ მარცხს გამართლება არ აქვს. ტექნიკურად ძალიან სუსტები ვიყავით და შეხვედრის მსვლელობისას ყველაფერი ავურ-დავურიეთ. ჩემპიონთა ლიგის შემდგომ ეტაპზე გასვლის ილუზიას ვყავდით შეპყრობილი და დღეს ამის გამო დავისაჯეთ. ახლა მიწას უნდა დავუბრუნდეთ. „პარი სენ ჟერმენი" ჯგუფში მეოთხე ადგილზე იმიტომ გავიდა, რომ უკეთესს არ იმსახურებდა, როგორც კი მეტოქე ათი კაცით დავიგულეთ, გავჩერდით და მატჩის ცქერაზე გადავედით. რატომ, ვერ გამიგია. „პარი სენ ჟერმენი" ძველებურად მდიდარი კლუბი არ არის, მაგრამ გუნდის შექმნა და გარკვეულ დონეზე თამაში მოვახერხეთ. ახლა საქმე გასაგრძელებელია და მე სწორედ ასე მოვიქცევი. გადადგომა გამოსავალი არ არის"

**პაპუნა ბედია**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:3 | 13 |
| პორტუ | 6 | 2 | 2 | 2 | 4:6 | 8 |
| ცსკა | 6 | 2 | 1 | 3 | 5:5 | 7 |
| პსჟ | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 5 |

*„ჩელსი" და „პორტუ" გავიდნენ მერვედფინალში, ცსკა უეფას თასზე*



პსჟ — ცსკა. პარიზში მოსკოველმა სერგეი სემაკმა იგენერლა

# ჰარი მტერს შეეკრა



**ასე კი** გამოვიდა, რომ „პორტსმუთიდან" წასული ჰარი რედნაპი „საუთჰემპტონის" მენეჯერი შეიქნება: ანუ, ერთი მტრული გუნდიდან მეორეში გადაბარგდება. სამხრეთ სანაპიროს დერბის მონაწილეებს და ახლო მეზობლებს შორის ხომ ძველი შუღლი არსებობს. 57 წლის რედნაპს შეუერთდება მისი პორტსმუთელი" თანაშემწე, კევინ ბონდიც. „საუთჰემპტონს" კი რიგით მესამე მენეჯერის დანიშნვა ახალ იმედს აძლევს. შაბათს, რედნაპი „მიდლსბროს" წინააღმდეგ გაიყვანს ტანჯულ გუნდს.

„პორტსმუთში" ჰარის ნაბიჯი ეწყინათ. მეპატრონე მილან მანდარიჩმა თქვა: „ვკითხე, „საუთჰემპტონში" ხომ არ მიდიოდა და იუარა. ძალიან მწყინს, გაბრაზებული კი არ ვარ, რადგან ეს მისი გადაწყვეტილებაა".

რედნაპს „პორტსმუთში" აღმერთებდნენ, სწორედ მან გადაიყვანა გუნდი პრემიერლიგაში და იქ ადგილიც შეუნარჩუნა. რედნაპის წასვლა კლუბის დირექტორად ველიმირ ზაეიჩის მიყვანამ გამოიწვია.

„საუთჰემპტონში" კი პოლ სტაროკი მხოლოდ ორი ტურით გააჩერეს და მერე იქაური საფეხბურთო აკადემიის უფროსი უიგლი მიიყვანეს. თუმცა, უიგლიმაც ვერ უშველა საქმეს და ახლა თავმჯდომარე რუპერტ ლოუ ხელებს იფშვნეტს, ძლივს ნაღდი ოსტატი ვიშოვნეო.

რედნაპი რვა წელიწადში მეცხრე მენეჯერია „საუთჰემპტონში".

**ირაკლი გამყრელიძე**

## ინგლისი

**ჩემპიონატი**
**გადადებული მატჩი**

**ვულვერჰემპტონი 1:2 მილუოლი**

0:1 დობი (9), 1:1 კ. კუპერი (57პ), 1:2 დიჩიო (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 22 | 12 | 8 | 2 | 41:15 | 44 |
| იფსვიჩი | 22 | 12 | 7 | 3 | 42:25 | 43 |
| სანდერლენდი | 22 | 12 | 4 | 6 | 29:17 | 40 |
| რედინგი | 22 | 11 | 5 | 6 | 30:22 | 38 |
| ვესტ ჰემი | 22 | 11 | 4 | 7 | 28:24 | 37 |
| ქუინზ პარკი | 22 | 11 | 3 | 8 | 32:31 | 36 |
| შეფილდი | 22 | 9 | 8 | 5 | 28:28 | 35 |
| მილუოლი | 22 | 9 | 5 | 8 | 22:21 | 32 |
| ლესტერი | 22 | 7 | 10 | 5 | 26:20 | 31 |
| სტოკი | 22 | 8 | 7 | 7 | 16:17 | 31 |
| დერბი ქაუნთი | 22 | 8 | 6 | 8 | 31:30 | 30 |
| ბარნლი | 22 | 7 | 9 | 6 | 18:19 | 30 |
| პლიმუთი | 22 | 8 | 5 | 9 | 28:28 | 29 |
| ქრიუ | 22 | 8 | 5 | 9 | 39:42 | 29 |
| პრესტონი | 22 | 8 | 5 | 9 | 28:33 | 29 |
| უოტფორდი | 22 | 6 | 10 | 6 | 28:24 | 28 |
| ვულვზი | 22 | 7 | 6 | 9 | 31:31 | 27 |
| ქოვენთრი | 22 | 6 | 8 | 8 | 28:35 | 26 |
| ლიდსი | 22 | 6 | 7 | 9 | 24:23 | 25 |
| ბრაიტონი | 22 | 7 | 4 | 11 | 17:29 | 25 |
| კარდიფი | 22 | 5 | 7 | 10 | 24:29 | 22 |
| ნოტინგემი | 22 | 4 | 8 | 10 | 22:31 | 20 |
| ჯილინგემი | 22 | 5 | 3 | 14 | 19:40 | 18 |
| როტერჰემი | 22 | 1 | 8 | 13 | 13:30 | 11 |



ალი ქარიმი მეოთხე ირანელია, აზიის საუკეთესო ფეხბურთელად რომ აღიარეს

# აზია დაახარისხეს
## ალი ქარიმი ევროპას უმიზნებს

**ირანის** ნაკრების ფორვარდი ალი ქარიმი აზიაში საუკეთესოდ დაასახელეს. მეორე ადგილი ბაჰრეინელ აალა ჰუბაილის ერგო, მესამე კი იაპონელ შუნსუკე ნაკამურას.

ჯილდო აზიის ფეხბურთის კონფედერაციამ 1994 წელს დააწესა და მას შემდეგ ალი ქარიმი მეოთხე ირანელი გამარჯვებული გახდა. „ჩემთვის დიდი პატივია საუკეთესოობა და ეს რამდენიმე წლის შრომის შედეგია. ამ ჯილდოს ირანელ ხალხს ვუძღვნი. ვიმედოვნებ, რომ ჩემი კარგი თამაში შეუმჩნეველი არ დარჩება და კარიერას რომელიმე ევროპულ კლუბში გავაგრძელებ" — განაცხადა გამარჯვებულმა.

26 წლის ალი ქარიმმა, რომელიც საემიროების კლუბ „ალ აჰლიში" თამაშობს, ჩემპიონატში 27, აზიის თასზე კი ხუთი გოლი გაიტანა და ირანის ნაკრები ბრინჯაოს დაეუფლა.

ქარიმამდე აზიაში საუკთესოდ დასახელებული სამივე ირანელი ფეხბურთელი ბუნდესლიგაში თამაშობდა — ხოდად აზიზი, ალი დაეი და მეჰდი მაჰდავიკია.

ერაყის ნაკრების თავკაც ადმან ჰამდის ოლიმპიადაზე მოპოვებული მეოთხე ადგილი დაუფასეს და აზიაში პირველ მწვრთნელად აღიარეს, საუკეთესო ნაკრებად იაპონია ცნეს, რადგან კონტინეტის თასი მოიგი, „ალ აჰლის" კი კლუბებს შორის პირველობა ერგო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# თაღლითის ნაზოდვარი
## ჩელსი მონაკოს დაუწვა



ჟორჟე პინტუ

**„პორტუს"** პრეზიდენტმა ჟორჟე პინტუმ, მატჩების ჩაწყობას და მსაჯების მოქრთამვას რომ აბრალებენ, თავად დაადანაშაულა ლონდონის „ჩელსი" „მონაკოსთან" შეგნებულ მარცხში

პინტუს ავტობიოგრაფიული წიგნი გამოუცია, რომელშიც ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშების შესახებ ბევრი საინტერესო რამ ჩაუწერია.

„პორტუს" პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ 2004 წლის 19 აპრილს რომან აბრამოვიჩი და „ჩელსის" აღმასრულებელი დირექტორი პიტერ კინიონი ყოზე მაურინიუს და მის აგენტ მენდეშს შეხვდნენ და მაურინიუს „ჩელსიში" გადასვლაც მაშინ გადაწყდა. „მე გაოგნებული დავრჩი ამ შეხვედრით, რადგან მეორე დღეს, 20 აპრილს, „მონაკო" „ჩელსის" ხვდებოდა, 21-ში კი „პორტუ" „დეპორტივოს" მასპინძლობდა" — განაცხადა ჟორჟე პინტუმ და მთავარსაც აქ მივადექით. პრეზიდენტის მტკიცებით, რაკი მაურინიუს „ჩელსიში" გადასვლა გადაწყვეტილი იყო, „არისტოკრატებმა" „მონაკოსთან" ორრაუნდიანი ბრძოლა შეგნებულად დათმეს, რომ ფინალში არ გასულიყვნენ და იქ „პორტუს" არ შეხვედროდნენ. ჟორჟე პინტუს არგუმენტი ასეთია: „ჩელსი" — „პორტუს" ფინალი სკანდალური იქნებოდა, რადგან ერთი ფინალისტის („ჩელსის") პატრონს მეორე ფინალისტის („პორტუ") მწვრთნელი უკვე დაბევებული ჰყავდაო.

ამას ამტკიცებს ჟორჟე პინტუ, თუმც საინტერესოა, თავად რა გარანტია ჰქონდა, რომ „პორტუ" „დეპორტივოს" მოუგებდა და ფინალში აღმოჩნდებოდა?

**ვაჟა ხუციშვილი**

*„მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ გუნდის ბრაზილიელი მეკარე ნელსონ დიდა შეაქო და განაცხადა, დარწმუნებული ვარ, მსოფლიოს საუკეთესო გოლკიპერი ახლა ჩვენ გვყავსო. ამის თქმის საფუძველიც ჰქონდა*

# საუკეთესო მეკარეს მილანში [illegible]




**სინიორ** ადრიანო დიდას გლაზგოში, „სელტიკთან" თამაშით ძალიან მოხიბლულა, ორჯერ ისეთი წარმოუდგენელი ბურთები აიღო, რომ...

„დიდა დღითიდღე გვაოცებს, ის უმაღლესი კლასის მეკარეა. ჩვენ გვყავს დიდებული თავდამსხმელები, ნახევარმცველები, მცველები, მაგრამ გვყავს დიდებული კარის დარაჯიც. უბრალოდ, ბედნიერები ვართ. ხომ გაგიგიათ, საიმედო მეკარე ნახევარი გუნდიაო. ჰოდა, ამ 31 წლის კაცისთვის ულრმესი მადლობის მეტი რა გვეთქმის" — ასეთია გალიანის ციტატა „გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემული ინტერვიუდან.

და მაინც, ვინაა ნელსონ დიდა? 2000 წლის ზაფხულში „მილანმა" იგი ბრაზილიური „კორინთიანსისგან" შეიძინა სებასტიანო როსის სათადარიგოდ. ბრაზილიელს მაშინ ერთხელ მიეცა „როსონერის" კარის დაცვის შესაძლებლობა, მაგრამ... ჩემპიონთა ლიგის მატჩი, თავსხმა წვიმა, „ლიდსი" — „მილანი" თითქოს ფრედ, 0:0 უნდა დამთავრდეს. ბოლო წუთია და ამ დროს ლი ბოიერმა ისეთი დაარტყა ოცდაათიოდე მეტრიდან... დიდამ ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა, „მილანმაც" 0:1 წააგო.

მოკლედ, არ აეწყო კარიერა და „შავ-წითლებმაც" იგი სათამაშო პრაქტიკის მისაღებად შვეიცარიულ „ლუგანოში" გაანათხოვრეს.

ამასობაში კი „მილანის" ნომერ პირველ მეკარედ როსის წასვლის შემდეგ კრისტიან აბიატი იქცა. დიდაც ერთწლიანი პაუზის შემდეგ „სან სიროზე" კვლავ სათადარიგო გოლკიპერად დააბრუნეს.

დააბრუნეს და... დღეს იგი მსოფლიოს ჩემპიონია და იმაში, რომ „მილანმა" ჯერ ჩემპიონთა ლიგა, მერე იტალიის თუ ევროპის სუპერთასები, ბოლოს კი სკუდეტო მოიგო, 31 წლის დიდას წვლილი განუზომელია.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ოქროსბიდონა ნიკოლა



კრისტიან ვიერი ნიკოლა ლეგროტალიეს გამოკითხვაშიც ჩამორჩა

**იუვენტუსელი** ნიკოლა ლეგროტალიე „ოქროს ბიდონის" ლაურეატი გახდა. ეს რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ RADIO 2 RAI-ს პროგრამა „კატერსპორტის" გამოკითხვით, 2004 წლის ყველაზე დიდ იმედგაცრუებად სწორედ ტურინელი ცენტრალური მცველი დაასახელეს. შეგახსენებთ, რომ ლეგროტალიე „ბებერ ქალბატონს" 2003 წლის ზაფხულში შეუერთდა და საშინელი სეზონი გაატარა. შეგახსენებთ ასევე, რომ 2003 წელს „ოქროს ბიდონი" „მილანის" ბრაზილიელმა ვარსკვლავმა, რივალდომ მიიღო.

და ვის გაუსწრო ფეხბურთელმა, რომელმაც „იუვეს" ახალი მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს ხელში საერთოდ დაკარგა ადგილი ძირითად შემადგენლობაში? უნდა ითქვას, რომ საკმაოდ სახელოვან მოთამაშეებს, რომელთა 2004 წლის მოღვაწეობაც, როგორც ჩანს, მაყურებელმა რეგრესად მიიჩნია. ეს მოთამაშეები გახლავან: კრისტიან ვიერი „ინტერიდან", ალესანდრო დელ პიერო იმავე „იუვენტუსიდან" და ვიერის თანაგუნდელი მარკო მატერაცი.

**პაპუნა ქედია**

## ავსტრია

მაქსბუნდესლიგა
XXI ტური

მატერსბურგი 2:1 აუსტრია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 21 | 12 | 6 | 3 | 42:13 | 42 |
| რაპიდი | 20 | 12 | 6 | 2 | 37:14 | 42 |
| პაშინგი | 20 | 12 | 2 | 6 | 38:29 | 38 |
| გრაცერი | 20 | 9 | 4 | 7 | 22:19 | 31 |
| მატერსბურგი | 21 | 8 | 4 | 9 | 31:36 | 28 |
| ტიროლი | 20 | 7 | 4 | 9 | 30:30 | 25 |
| ადმირა | 20 | 6 | 3 | 11 | 21:32 | 21 |
| ზალცბურგი | 20 | 5 | 5 | 10 | 24:30 | 20 |
| შტურმი | 20 | 5 | 4 | 11 | 16:27 | 19 |
| ბრეგენცი | 20 | 4 | 4 | 12 | 20:51 | 16 |

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, .38-11-14

# შტოკერის ჯოკერი მარადიული ფოლკერ ფინკე




„ფრაიბურგის“ პრეზიდენტმა ახიმ შტოკერმა განაცხადა, რომ ფოლკერ ფინკეს გათავისუფლებას არ აპირებს. გუნდმა ზედიზედ შვიდი შეხვედრა წააგო და მათ შორის ყველაზე ხმაურიანი გასულ უქმეებზე „ვერდერთან“ 0:6 მარცხი გამოდგა. ასეთი შედეგის კვალობაზე მწვრთნელის მოხსნა ლოგიკურია, მაგრამ პრეზიდენტი უმადური კაცი არ გამოდგა.

„ფინკე მოვიდა და მითხრა — ჰერ შტოკერ, თუ ფიქრობთ, რომ ჩემზე უკეთ საქმის გაკეთებას სხვა შეძლებს, მაშინ წავალ — მე კი მწვრთნელის შეცვლით ვითარების გამოსწორების არ მჯერა. ფოლკერ ფინკე საუკეთესოა მათ შორის, ვისაც „ფრაიბურგში“ უმუშავია. ეს კი არა, დარწმუნებული ვარ, მთელს ბუნდესლიგაში საუკეთესო კაცია“ — თქვა კლუბის პრეზიდენტმა და ისიც დაამატა, რომ მეორე ბუნდესლიგაში გუნდის ჩაქვეითების შემთხვევაშიც არ შეცვლის ფინკეს. „ჩვენ მასთან ერთად ბუნდესლიგაში კვლავ დავბრუნდებით“ — აღნიშნა ახიმ შტოკერმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ეფენბერგმა ელბერს ბუნდესლიგა შეარჩია

„ლიონის“ ფორვარდმა ჯოვანი ელბერმა დაადასტურა, რომ მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“ მოლაპარაკება დაიწყო. ბრაზილიელი მეგოლე სეზონის დასაწყისში დაშავდა და მუხლის ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ ელბერმა ფრანგული კლუბის ექიმს ხელობა დაუწუნა და გერმანიაში ჩავიდა, სადაც ხელმეორედ დაწვა საოპერაციო მაგიდაზე. „ლიონის“ პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა ამის გამო განრისხდა. ოლასა და ელბერის ურთიერთობა წახდა და ბრაზილიელმაც საფრანგეთზე გული აიყარა.




ამას წინათ ჯოვანი ელბერი მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ სპორტულ დირექტორ ჰოხშტატერს შეხვდა და ბუნდესლიგურ კლუბში შესაძლო გადასვლაზე ესაუბრა. ცხადია, ფეხბურთელის სანაცვლოდ „ლიონი“ ფულს მოითხოვს, მაგრამ ბრაზილიელი იმედოვნებს, რომ „ბორუსიას“ მისი გადაყვანა ძვირი არ დაუჯდება. „მართალია, რომ ჰოხშტატერს ვესაუბრე, მაგრამ ჯერ კონტრაქტზე ვერაფერს ვიტყვი. „ბორუსია“ კარგი გუნდია და ბუნდესლიგაში დაბრუნება შტეფან ეფენბერგმაც მირჩია. არა მგონია, რომ „ლიონის“ პატრონი გზაზე გადამეღობოს“ — განაცხადა ელბერმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ტიუსოს საშობაო ზეძეგი

*ეს რა მოუგონია მადამ ტიუსოს მუზეუმს საშობაოდ: ამდგარან იქაური მძერწავები და საშობაოდ, საშობაო სიუჟეტი მეტისმეტი სითამამით გაუცოცხლებიათ. დევიდ ბექემი და მისი ვიქტორია იოსებად და მარიამად გამოუწყვიათ. კაილი მინოგი ანგელოზად, სამ მოგვად ტონი ბლერი; პრინცი ფილიპი და ჯორჯ ბუში გამოუწყვიათ, მწყემსებად კი სამუელ ჯექსონი, ჰიუ გრანტი და კომედიანტი გრემ ნორტონი.*

*ეს ექსპოზიცია ტუსოს მუზეუმშია გამოფენილი და უამრავი ფოტოს მოყვარული ეხვევა. გართობა ერთია, გემოვნებისა და ამგვარი გამოგონებისა კი თავად იფიქრეთ.*






ეროვნული ბიბლიოთეკა

**ინგლისური** „ლივერპულის“ ლიდერმა და კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა საკმაოდ მოულოდნელი განცხადება გააკეთა: „ეს ჩემი მშობლიური და საყვარელი გუნდია. „ლივერპულთან“ ერთად ტიტულების მოგება მინდა, მაგრამ მთელი ცხოვრება ვერ დავიცდი. გაისად 25 წლის გავხდები და თუ ამ სეზონში ჩემპიონობისთვის ვერ ვიბრძოლებთ, შესაძლოა წასვლაზეც ვიფიქრო. ფეხბურთელის კარიერა საკმაოდ მოკლეა და თუ პერსპექტივა ნათლად არ გამოჩნდა, „ლივერპულის“ კვლავ სუპერკლუბად ქცევას ველარ დაველოდები“. შეგახსენებთ, რომ ლონდონის „ჩელსი“ ახლაც მზადაა, ჯერარდის სანაცვლოდ 30 მილიონი გირვანქა გაიღოს.

**ესპანურმა** „ატლეტიკომ“ მიზანს მიაღწია და დანიელი ნახევარმცველი იესპერ გრონკიაერი გადაიბირა. ტრანსფერი ოფიციალურად იანვარში გაფორმდება, ხოლო ინგლისური „ბირმინგემი“ მის სანაცვლოდ 1,5 მილიონ გირვანქას მიიღებს. ლონდონური „ჩელსის“ ყოფილი ჰავბეკი მადრიდულ კლუბში მომავალ 3,5 წელიწადს გაატარებს, კონტრაქტის სხვა პირობები არ ხმაურდება.

**ინგლისის** ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა დინ ეშტონმა პრემიერლიგის კლუბების წინადადებები კვლავ არ ილო ყურად და „ქრიუსთან“ კონტრაქტი გაახანგრძლივა. 21 წლის ეშტონი ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული თავდამსხმელია და მისით რამდენიმე სერიოზული გუნდია დაინტერესებული, მაგრამ თავად ფეხბურთელი ჯერჯერობით არ აპირებს გუნდის გამოცვლას. ბოლოს ეშტონმა „ბირმინგემს“, „ტოტენჰემს“, „ასტონ ვილასა“ და „ევერტონს“ უთხრა უარი. პრემიერლიგაში მხოლოდ მშობლიურ გუნდთან ერთად ვითამაშებო, უთქვამს მას.

**არგენტინული** და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა დიეგო არმანდო მარადონა კიდევ ერთხელ დაქორწინებას აპირებს. მისი რჩეული 20 წლის კუბელი გოგონა ადონაი ფრუტოსია. მარადონა უახლოეს მომავალში შეყვარებულის მშობლებთან მისვლას და ადონაის ხელის თხოვნას აპირებს. 44 წლის ფეხბურთელი ამჟამად ბუენოს აირესში იმყოფება, თუმც მალე ჰავანაში დაბრუნდება, სადაც იგი ერთ-ერთ ნარკოლოგიურ კლინიკაში რეაბილიტაციის კურსს გადის.

**ინგლისურმა** „მანჩესტერ სიტიმ“ 29 წლის ბრედლი რაიტ-ფილიპსს გრძელვადიანი კონტრაქტი შესთავაზა. ეს უკანასკნელი მანჩესტერელთა ვარსკვლავ შონ რაიტ-ფილიპსის უფროსი ძმაა, მისი დებიუტი „სიტის“ ძირითადში პრემიერლიგის გასულ ტურში შედგა, შეცვლაზე შესულმა ფორვარდმა ოთხ წუთში შესაშური სილამაზის გოლი შეაგდო. მისი გადაბირების სურვილი „ლიდს იუნაიტედს“ ჰქონდა, მაგრამ „სიტიმ“ იორკშირელები უარით გაისტუმრა. შეგახსენებთ, რომ შონ და ბრედლი რაიტ-ფილიპსები, ახლო წარსულში ცნობილი ინგლისელი თავდამსხმელის, იან რაიტის გერები არიან.

**უკრაინული** „დინამოს“ ახალგაზრდა ფორვარდი რობერტო ნანი შესაძლოა, ინგლისურ „ნიუკასლში“ აღმოჩნდეს. არგენტინელი ფეხბურთელი კიეველებს ახლა ესპანეთის სეგუნდადივიზიონურ „ალმერიაში“ ჰყავთ განათხოვრებული. „ველეს სარსფილდის“ ყოფილი თავდამსხმელი „დინამოს“ ისტორიაში ყველაზე ძვირი შენაძენია, თუმც იგი კიეველთა რიგებში სათანადოდ ვერ ათამაშდა. „ალმერიაში“ კი ნანი საკმაოდ კარგად გამოიყურება. „კაჭკაჭებმა“ რობერტო ნანი შესაძლოა იანვარშივე გადაიბირონ.

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობის თქმით, იანვარში არავის დაიმატებენ. „უეინ რუნიში 30 მილიონი გირვანქა გადავიხადეთ და ამით, წლეულს ფაქტობრივად ამოვწურეთ ტრანსფერებისთვის განკუთვნილი ფინანსები. ვფიქრობ, გაძლიერებას არ ვსაჭიროებთ, საკმაოდ დაბალანსებული და ძლიერი გუნდი გვყავს. ასე ფიქრობს სერ ალექს ფერგიუსონიც“ — თქვა „წითელი ეშმაკების“ აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ გილმა.

**ფრანგ** თავდამსხმელ ლომანა ტრეზორ ლუა-ლუას ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისგან სასჯელი ელის. „პორტსმუთის“ ფეხბურთელმა „მიდლსბროსთან“ მატჩში გულშემატკივრებს რამდენიმე უცენზურო ჟესტი აჩვენა, რადგანაც ტრიბუნებიდან შავკანიან ფორვარდს არცთუ სასიამოვნო სიტყვებით ამკობდნენ. წარმოშობით აფრიკელ ლუა-ლუას ფულადი ჯარიმა ან რამდენიმემატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის.

# გაჭირვება მაჩვენე, გავარდნას გაჩვენებ

## ცქიტიშვილს ფრაიბურგი ადარდებს, შალკე ახარებს




*ბუნდესლიგას „ფრაიბურგი", ფაქტობრივად, გამოტირებული ჰყავს. ორი ჩვენიანის გუნდი სადღეისოდ 10 ქულით ცხრილის ფსკერზეა დალექილი და უმცირესი შანსია, გავარდნას გადაურჩეს. წინ ნახევარი ჩემპიონატი კია, მაგრამ „ფრაიბურგს" პერსპექტივა რომ არ უჩანს, ესეც ცხადია. ბუნდესლიგის პირველი წრე კი ამ უქმეებზე მთავრდება. „ფრაიბურგის" მეტოქე ცხრილის თავში მოკალათებული „შალკე" იქნება და როგორ გინდა დაიჯერო, ჩემპიონობისთვის მებრძოლი ლევან კობიაშვილის გუნდი იაშვილ-ცქიტიშვილისას შინ ქულას მაინც გაატანს. მით უმეტეს, „ფრაიბურგს" ლევან ცქიტიშვილი ჰყავს ტრავმირებული და „შალკესთან" ის ან ითამაშებს, ან არა...*

— „ვერდერთან" წინა ტურის მატში დავშავდი, ძველი ტრავმა გამიმიზეზდა, ახალნამკურნალევი კუნთი დამეჭიმა — გვითხრა გუშინ ლევან ცქიტიშვილმა — არ ვიცი, „შალკესთან" თამაშს შევძლებ თუ არა. ყოველ შემთხვევაში, „ვერდერთან" მატჩის შემდეგ არ მივარჯიშია. ვმკურნალობ და ვერც ექიმები მაიმედებენ, ამ ორ-სამ დღეში გამოჯანმრთელდებიო.

**— გამოდის, პირველი წრე უკვე დაასრულე.**

— არ ვიცი, ვნახოთ, შესაძლოა, „შალკესთან" ვითამაშო კიდეც.

**— გელზენკირხენში „ფრიაბურგი" მთლად უიმედოდ მიემგზავრება?**

— ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატს ვეთამაშებით, თანაც სტუმრად და თავად წარმოიდგინეთ, გუნდში როგორი განწყობა იქნება. ისე კი, ჩვენ შორის „შალკე" უეჭველ ფავორიტად რომ ითვლება, „ფრაიბურგისთვის" ეს ეგებ კარგიც იყოს. შეიძლება, „შალკე" აუტსაიდერთან თამაშმა მოადუნოს, თავი წინასწარ მოგებულად ჩათვალოს და ჩვენც წარმატების მეტი შანსი მოგვეცემა.

**— ეს, ალბათ, ნაკლებმოსალოდნელია, „შალკესთვის" ხომ ყოველ ქულას ოქროს ფასი აქვს.**

— ჰო, მაგრამ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**— მთლიანად, ჩემპიონატში „ფრაიბურგს" რისი იმედი აქვს?**

— იმედი ხომ ბოლოს კვდება... საერთოდ, როცა ჩემპიონატი იწყება, „ფრაიბურგმა" იცის, რომ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მოუწევს ბრძოლა და ახლა ჩვენი აუტსაიდერობაც არავის უკვირს.

**— ესე იგი, ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე ხელი უკვე ჩაიქნიეთ?**

— არა, არც მთლად ეგრეა. კლუბის ხელმძღვანელობა მეორე წრის იმედადაა, გაძლიერდებითო, ამბობენ, ბოლომდე ბრძოლას გვთხოვენ.

**— რომელი ფეხბურთელების მოწვევას აპირებენ?**

— ჯერ არ უთქვამთ. თუმც, ყველამ იცის, რომ „ფრაიბურგს" სახელოვანი მოთამაშეების შეძენის საშუალება არ აქვს.

**— და, ალბათ, ისევ აფრიკელებს გადაიბირებენ?**

— ალბათ. დღესდღეობით ბუნდესლიგაში „ჰანზა", „მაინცი" და „ფრაიბურგი" ითვლებიან ყველაზე გაჭირვებულ კლუბებად და ძნელი წარმოსადგენია, ჩვენებმა სახელოვანი ფეხბურთელების დამატება მოახერხონ.

**— მწვრთნელი რას ამბობს, წარუმატებლობას რით ხსნის?**

— ფინკეს სათქმელი ბევრიც არაფერი აქვს და პასუხს არც კლუბის ხელმძღვანელობა სთხოვს. ხომ გითხარით, აქ არავის უკვირს, გუნდს ასეთი ჩავარდნა რომ აქვს. თუ გავვარდებით, გაისად ისევ დასაბრუნებლად ვიბრძოლებთ.

**— თავად რას ფიქრობ, ჩავარდნა რისი ბრალია?**

— ძნელია, ერთი კონკრეტული მიზეზი თქვა. გუნდი ფსიქოლოგიურად გატეხილია და თამაშზე ძალების კონცენტრირებას ვერ ახერხებს. ამ ყველაფერს ტრავმები დაემატა, ერთი შემადგენლობით ზედიზედ ორი მატჩი ვერ ჩავატარეთ.

**— ფინკეს გათავისუფლება არ ემუქრება?**

— არა, ფინკეს მოხსნაზე არავინ ლაპარაკობს, ფინკე „ფრაიბურგში" ხელშეუხებელია.

**— თუ „ფრაიბურგი" გავარდა, მეორე ბუნდესლიგაშიც გადაჰყვები?**

— არა, „ფრაიბურგი" თუ გავარდა, კონტრაქტით კლუბიდან თავისუფალი ვიქნები, და, თუ ბუნდესლიგაში ადგილს შევინარჩუნებთ, მაშინ „ფრაიბურგში" ერთ სეზონსაც გავატარებ.

**— „შალკეზე" და ლევან კობიაშვილზე რას გვეტყვი?**

— რა უნდა გითხრათ, თავადაც ხედავთ, „შალკემ" როგორ მოუმატა და კობიაშვილი როგორ თამაშობს. გერმანიაში „ბაიერნსა" და „შალკეს" თვლიან ჩემპიონობის უმთავრეს ფავორიტებად. ამ ორიდან კი ვერც ერთს აძლევენ უპირატესობას. ლევან კობიაშვილი „შალკეს" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია და გერმანულ პრესაშიც ძალიან პოპულარულია. „შალკეს" ჩემპიონობა ძალიან გამიხარდება.

**— და „ფრაიბურგის" არგავარდნაც...**

— რა თქმა უნდა. ვნახოთ, ეგებ; თამაში მეორე წრეში გამოვასწოროთ.

**კობა ინასარიძე**

*ქება და „ყოჩაღ, ძმაო" ჯერ ნაადრევია, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატმა რომ ბოლო ტურებში პერსპექტიული მეკარე შეიძინა, ეს უდავოა. „თბილისის" 20 წლის გოლკიპერმა ბექა შეყრილაძემ ისე უმტკივნეულოდ შეცვალა აკაკი დევაძე, თითქოს მეკარეობაში ჭიპი ჰქონდეს მოჭრილი. როგორც იცით, დევაძეს თბილისელებთან კონტრაქტი ამ დღეებში უმთავრდება და ალბათ სხვა კლუბს მიაშურებს, რაც შეყრილაძეს გზას გაუხსნის ძირითად შემადგენლობაში. ახლა კი თავად ბექას გავესაუბროთ, რომელიც თავის წარმატებებს „თბილისის" მეკარეთა მწვრთნელ გუბაზ დოლიძეს უმადლის...*

# მიჰყევ დოლიძის რჩევასა

## ბექა შეყრილაძე ჯერ კიდევ სწავლობს...

— გაგიკვირდებათ, მაგრამ ფეხბურთზე 16 წლისა შევედი. მერე „ოლიმპში" ანუ „თბილისის" დუბლებში მოვხვდი, ხოლო წლეულს გუბაზ დოლიძემ ძირითად გუნდში გადამიყვანა.

**— 16 წლამდე რას აკეთებდი?**

— ვსწავლობდი.

**— „თბილისის" ძირითადში პირველად რომ დაგაყენეს, ალბათ, ნერვიულობდი...**

— სასტარტო ნერვიულობა ყველას სჩვევია, მაგრამ ეს თამაშამდე. მინდორზე გასვლა და პრობლემების დავიწყება ერთი იყო. ახლა უკვე მთლიანად მომეხსნა ნერვიულობა, პრაქტიკისთვის სამი თამაშიც არაა ცოტა.

**— განსაკუთრებით კარგად „ტორპედოსთან" სათასო და ჩემპიონატის მატჩებში ითამაშე...**

— შეიძლება, ასეც იყო, მაგრამ კარგობამდე ჯერ შორია. ჯერ ვსწავლობ...

**— ალბათ, აკაკი დევაძეც გამხნევებდა და მითითებებს გაძლევდა...**

— კი, რა თქმა უნდა. დევაძისგანაც და გუბაზ დოლიძისგანაც ბევრი ვისწავლე, ყოველთვის მათი მადლიერი დავრჩები.

**— შენი, როგორც მეკარის, სუსტ და ძლიერ მხარეებზეც გვითხარი...**

— ფეხით თამაში მიჭირს და ეს ძალიან დასახვეწი მაქვს. ძლიერ მხარეზე რა გითხრათ... უფრო გამოსვლაზე მიადვილდება თამაში, რაც ბოლო მატჩებშიც გამოჩნდა.

**— საქართველოს ჩემპიონატში ყველაზე ძლიერ მეკარედ ვის თვლი?**

— ალბათ, დევაძეს.

**— თავდამსხმელს?**

— ჯერ ბევრი არ მითამაშია, ყველა თავდამსხმელს ვერ ვიცნობ, მაგრამ მელქაძე და მეგრელაძე უფრო გამორჩეულები ჩანან.

**— ხვალ სწორედ მეგრელაძის „ტორპედოს" ხვდებით თასზე და რას იტყვი ამ თამაშზე?**

— სამი დღის წინ ქუთაისში „ტორპედოს" მაგრად ვეთამაშეთ და ხვალაც იგივეს ვაპირებთ. 2:0 კი გვაქვს მოგებული, მაგრამ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. თან გივი კვარაცხელია გვაკლია და...

**ილია ნანობაშვილი**



[illegible] ფოტო

# რომანცევმა ხიზანეიშვილი კარგად ახსენა

**საქართველოს** ნაკრების მცველი ოთარ ხიზანეიშვილი მომავალ სეზონსაც მოსკოვის „დინამოში" გაატარებს. ასეთი ინფორმაცია ამოვიკითხეთ რუსული კლუბის ვებ-გვერდზე.

არადა, ცოტა ხნის წინ ხმები გავრცელდა, ხიზანეიშვილს „დინამოდან" უშვებენო, რაც არ დადასტურდა. მოსკოველთა თავკაცი ოლეგ რომანცევი დაცვის ხაზით კმაყოფილი დარჩენილა და ასეთი რამ უთქვამს: „მენდი, ტანასევიჩი, ბატაკი, პოლოვინჩუკი, ხიზანეიშვილი და განეკი — ამ ბიჭების იმედი მაქვს. ვფიქრობ, დაცვაში საკმაო კონკურენციაა".

მწვრთნელის აზრით, გუნდი განსაკუთრებით ნახევარდაცვაში მოიკოჭლებს, თუმც ერთი-ორი თავდამსხმელის დამატებაზეც არ იტყვის უარს.

აქვე გეტყვით, რომ „დინამო" 17 დეკემბრამდე შვებულებაშია. მერე კი გუნდი სოჭში გაივლის ათდღიან შეკრებას. მოსამზადებელ ეტაპზე თურქული, ესპანური და გერმანული შეკრებებიც იგეგმება.

**კახა შალამბერიძე**


ს.კ. „დინამო თბილისი"-ს საფეხბურთო აკადემიის

## განცხადება

ა.წ. 10 დეკემბრიდან 25 დეკემბრამდე
ს.კ. „დინამო თბილისი"-ს
საფეხბურთო აკადემია აცხადებს ღია კარის დღეს
1987-1991 წლებში დაბადებულთათვის

საფეხბურთო სკოლებში და კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებს,
გთხოვთ, გამოგვეხმაუროთ

# დავით ყიფიანის თასი
## მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

ქუთაისი. 9 დეკემბერი. 13 საათი. ტორპედო

### ტორპედო — თბილისი (0:2)

მსაჯები: მ. მალაღურაძე; ზ. ჯვარიძე, ზ. მენთეშაშვილი; ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. კეტაშვილი



## ვის რა დაგრჩათ ღონის ჯიბეში...

**ბრაზილიური** სერიალივით გაწელილი „ტორპედო" — „თბილისი" სულაც არაა ბრაზილიური სერიალივით მოსაწყენი. პირიქით, დღევანდელი ჯახი ყველაზე დაძაბული და გამოუცნობი ჩანს.

შეგახსენებთ, რომ ბოლო რვა დღეში „ტორპედო" და „თბილისი" მესამედ ხვდებიან ერთმანეთს. წინა ორ მატჩში დედაქალაქელებმა გაიხარეს — თასზე 2:0 მოიგეს, ჩემპიონატში კი 2:2 წაილეს ქუთაისიდან.

რა იქნება ახლა? „ტორპედოს" ორბურთიანი ჩამორჩენა აქვს გასაბათილებელი და ბევრ რამეს ალბათ პირველი გოლი გადაწყვეტს. ქუთაისელებმა თუ გაიტანეს, ლუის ცაკარიასის გუნდს ძალიან გაუჭირდება, ხოლო სტუმრებმა თუ იხეირეს, მაშინ ალბათ ყველაფერი დამთავრდება.

მოკლედ, ინტრიგა საკმაოა და ვის ერგება ნახევარფინალის საგზური, ძნელი სათქმელია. ინტრიგას ისიც ამძაფრებს, რომ ხვალიდან გუნდებს შესვენება ეწყებათ ანუ ეს მათთვის წლის ბოლო და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩია — მეტოქეებს რაც შემორჩათ, მოედანზე დადებენ და ვისი გადაწონის, იმასაც ვნახავთ.

თბილისური შეხვედრაც გავიხსენოთ. „ტორპედოს" უამრავი შანსი ჰქონდა გოლის გასატანად, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. „თბილისმა" კი უფრო პრაგმატულად ითამაშა, რაც შექმნა, გამოიყენა და გოგიტა გოგუას და გივი კვარაცხელიას გოლებით 2:0 მოიგო.

ისიც ვთქვათ, რომ „ტორპედო" თასის წინა გათამაშების ფინალისტია. მაშინ ქუთაისელები ტიტულთან ახლოს იყვნენ, როცა სულიკო დავითაშვილის გოლით 1:0 უგებდნენ თბილისის „დინამოს", თუმც უპირატესობა ველარ შეინარჩუნეს და 1:2 დამარცხდნენ.

**ბახა შალამბერიძე**

---

თბილისი. 9 დეკემბერი. 13 საათი. ლოკომოტივი

### ლოკომოტივი — კოლხეთი (0:0)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია



**მეოთხედფინალის** საპასუხო მატჩებში თავისი წილი საკმაო ინტრიგა „ლოკომოტივ" — „კოლხეთსაც" აქვს. ზღვისპირული 0:0 ორივე გუნდს მეტ-ნაკლებად თანაბარ შანსს უტოვებს. მართალია, „ლოკო" მასპინძელია და ფოთელებს კლასითაც ალემატება, მაგრამ კოლხთა ერთი გოლიც საკმარისია, რომ ფავორიტ-აუტსაიდერი ყირამალა დადგეს.

*ზაურ სვანაძე*, „ლოკომოტივის" მწვრთნელი: იოლი თამაშს ნაღდად არ ველი. „კოლხეთმა" ჩემპიონატის ბოლო მატჩებში აშკარად მოუმატა და ეს შედეგებსაც დაეტყო.

— შემადგენლობაში პრობლემები ხომ არ გაქვთ?

— მხოლოდ ლადო ბურდული გვაკლია, რომელსაც ბებია გარდაეცვალა.

— ფოთში ჩატარებული პირველი მატჩიდან გამომდინარე, ხვალ როგორ თამაშს ელით?

— ფოთში უშელავათო ბრძოლა იყო, „კოლხეთი" ძალიან მონდომებული თამაშობდა და ვიცი, ხვალაც ყველაფერს გაილებენ ნახევარფინალში გასასვლელად.

— 0:0 ცოტა სახიფათო ანგარიშია. იფრთხილებთ თუ?

— ანგარიშიდან გამომდინარე, სიფრთხილე მართლაც გვმართებს. ისე კი, „ლოკომოტივი" განწყობას არ უჩივის, წლის ბოლო მატჩი გვაქვს და ძალიან გვინდა, სეზონი ამაღლებული განწყობით დავასრულოთ.

— თასის მოგებას არ გეგმავთ?

— ჯერ „კოლხეთს" გავცდეთ, თასის მოგებაზე მერე ვილაპარაკოთ.

— ფეხბურთელებს ხომ არ იმატებთ?

— ეს საკითხი ზამთრის შესვენებაზე გადაწყდება.

**ილია ნანოგაშვილი**

---

# დავით ყიფიანის თასი
## მერვედფინალი. პირველი მატჩი

თბილისი. 9 დეკემბერი. 13 საათი. ეროვნული

### დინამო — ზესტაფონი

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), მ. ელიკაშვილი; ა. მეშკოვი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე

**საქართველოს** თასის შვიდგზის მფლობელი თბილისის „დინამო" დღეს ჩაერთვება 2004-05 სეზონის თასისთვის ბრძოლაში.

მოგეხსენებათ, დინამოელები უეფას თასის ჯგუფში მოხვდნენ და შინაური თასი ამიტომაც გადაედოთ: „დინამო" — „ზესტაფონი" ერთი თვის წინ უნდა ჩატარებულიყო.

ისე, „დინამოსთვის" ალბათ უმჯობესი იქნებოდა, „ზესტაფონთან" მერვედფინალური მატჩები ადრევე მოელია. თბილისელთა მეტოქე ახლა უფრო მოძლიერებულია და ვინ იცის, ეგებ სიურპრიზზეც სერიოზულად იფიქროს. იმერლებს ხომ ფაქტობრივად დასაკარგი არაფერი აქვთ — ჩემპიონატის პირველი ეტაპი ასე თუ ისე ნორმალურად ჩაამთავრეს, გავარდნა არ ემუქრებათ და ახლა სეზონის მაჟორულ ნოტაზე დასრულებაც შეუძლიათ. აბა, ვინ არ იცის, რომ „დინამოსთან" ამის გაკეთება უძნელესი საქმეა, მაგრამ ცდას წინ რა უდგას.

თავის მხრივ, მაინცდამაინც „დინამოსაც" არაფერი აქვს სანერვიულო — გია გეგუჩაძის გუნდმა „ზესტაფონს" ჩემპიონატის ორივე მატჩში იოლად სძლია და მეტოქის ავ-კარგიც მშვენივრად იცის.

შეგახსენებთ, რომ ამ წყვილში გამარჯვებულის სამეოთხედფინალო მეტოქე უკვე ცნობილია — „ბათუმი" რა ხანია, მეწყვილეს ელის.

საპასუხო, „ზესტაფონი" — „დინამო" კი 12 დეკემბერს გაიმართება.

**ბახა შალამბერიძე**

---

თბილისი. 9 დეკემბერი. 13 საათი. ფკ ამერის სკოლა

### ამერი — ვიტ ჯორჯია (2:5)

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. [illegible]

**ძალიან** ძნელად დასაჯერებელია, რომ თასის მეოთხედფინალში გასული ერთადერთი პირველლიგელი „ამერი" ნახევარფინალშიც გავიდეს, არადა, საქართველოს ჩემპიონისა და დაბალლიგელის პირველი სათასო მატჩი ისე მიდიოდა, სენსაციას თითქმის არაფერი უკლდა. გავიხსენოთ: მცხეთაში 45-ე წუთზე „ამერი" 2:0 იგებდა, მერე კი ხუთი გოლი გაუშვა.

ცხადია, ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მით უფრო, რომ „ამერი" რვა დღის წინაც ახლოს იყო სენსაციასთან, მაგრამ ლოგიკა გვკარნახობს, რომ ნახევარფინალში უდავო ფავორიტი გავა.

შანსების ამგვარი უთანასწორობის მიუხედავად, თამაში, ვფიქრობთ, კარგი სანახავი იქნება. რაიმე განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ტვირთი არც ერთ გუნდს აწევს და არც მეორეს, ამერელები იმასაც ამბობენ, ჩვენი გულშემატკივრის პატივისცემა გვავალდებულებს, კარგი ფეხბურთელები ვუჩვენოთო. ამის საშუალება ფეხბურთი გლდანის ხარისხიანმა მოედანმაც უნდა მისცეს.

ორივე გუნდის შემადგენლობაც, პირველი მატჩისგან განსხვავებით, ოპტიმალური იქნება. „არმაზზე" დისკვალიფიკაციის გამო ვეტერინართაგან ალექსანდრე ინწკირველმა და ლევან კვარაცხელიამ, ამერელთაგან კი ყოფილმა ვიტელმა გიორგი დეკანოსიძემ ვერ ითამაშეს.



ვიტ ჯორჯია — ამერი — ვიტ ჯორჯია.
თამაში იყო, თამაში იქნება


# ფეხბურთი

ფკ ამერის სკოლა

**საქართველოს თასი**

**9 დეკემბერი**

1/4 ფინალის საპასუხო მატჩი

**ამერი — ვიტ ჯორჯია**

თბილისი — თბილისი

დასაწყისი 13 საათზე.
დასწრება უფასოა
მის: თიანეთის გზატკეცილი 25
(გლდანულას გადასახვევთან)

მატჩის მსვლელობა ონლაინ-რეჟიმში
საიტზე: www. fcameri.ge

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს უმაღლესი ლიგა 16 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# ფოტომიმოხილვა

# ალბომი ქართული საფეხბურთო წრეებისთვის



ჟირესიონი: მუსიე და ბატონები



მეკარის ბაქანზე უფრო მეტი ხალხია, ვიდრე ზოგ თამაშზე



გაყინული ტკივილი

## ბადრი კეთილაძის ფოტოები



ბურთისთვის მკლავ?!



განმკითხავის განკითხვა



გოლის ილუზია: ჰგავს, მაგრამ არ არის



„სიონი" და „დილა" მოედნიდან გადიან...



ადექი, გაზაფხულამდე მოგირჩება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

*ფეხბურთი იმისაა, რომ უნდა იკამათო, მაგრამ არის რაღაცები, რაზეც ფეხბურთში არ კამათობენ. მაგალითად, არ კამათობენ იმაზე, რომ 1982 წლის ბრაზილიის ნაკრები ყველაზე ლამაზი ბრაზილიის ნაკრები იყო და ალბათ ყველაზე ესთეტიკური გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში.*

*და ასეთ ბრაზილიას საბჭოთა კავშირის ნაკრები 1982 წლის მუნდიალზე გადაეყარა — ეს მათი პირველი მატჩი იყო ესპანეთი 82-ზე.*

*მთელი საქართველო და მთელი საბჭოთა კავშირი ტელეეკრანებთან იყო მიმჯდარი, ძალიან დიდი მატჩი გამოდგა მაშინდელი განზომილებით, დიდი თუ პატარა ამ თამაშის მოლოდინში იყო — საბჭოთა ნაკრებში მაშინ ოთხი ქართველი თამაშობდა — ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, რამაზ შენგელია და ვიტალი დარასელია.*

*ამ მატჩის პერიპეტიებს კი თენგიზ სულაქველიძე იხსენებს...*

**დავით თავართქილაძე**



საბჭოთა ნაკრების ტრიუმვირატს, ვალერი ლობანოვსკის, კონსტანტინ ბესკოვს და ნოდარ ახალკაცს გვერდს საბჭოთა ფეხბურთის მესვეური ვიაჩესლავ კოლოსკოვი უმშვენებდა

# ბალის ათბალიანმა მიწისძვრამ ორმოც წუთს გაძლო

## მოუმზადებელ საბჭოელებს ცოლებმა ვერ უშველეს



ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, ცოტა არ იყოს, უცნაურად ვემზადებოდით. 1982 წელს ესპანეთში ორჯერ წავედით შეკრებაზე — ჯერ ზამთარში, მერე გაზაფხულზე, ორივეჯერ სევილიაში ვიყავით, უმაღლეს დონეზე მოწყობილ სპორტულ ბაზაზე, მაგრამ ეს შეკრებები მეტწილად პატარ-პატარა კომერციულ მატჩებს მოიცავდა და ნორმალურად რომ ვერ მოვემზადეთ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის, ამაზე ქვემოთაც ვიტყვი.

საბჭოთა ნაკრებს მაშინ ტრიუმვირატი წვრთნიდა — კონსტანტინე ბესკოვი, ვალერი ლობანოვსკი და ნოდარ ახალკაცი, მაგრამ მთავარი მათგან ბესკოვი იყო. ლობანოვსკი და ახალკაცი ყველაფრის საქმის კურსში იყვნენ, ყველაფერს აკვირდებოდნენ, მაგრამ ეს უფრო მწვრთნელთა საბჭო იყო, ვიდრე ტრიუმვირატი — საბოლოო გადაწყვეტილებას ბესკოვი იღებდა და ყველაფერზეც პირველ რიგში სწორედ ის იყო პასუხისმგებელი, თუმცა ლობანოვსკის და ახალკაცის აზრსაც იზიარებდა.

ბესკოვი ძალიან მაგარი მწვრთნელი იყო, ყველა კომპონენტში ძლიერი — ტაქტიკა-სტრატეგია გინდა თუ ნებისმიერი რამ, ფეხბურთელს თავში ჩაუდებდა, თუ რა უნდა ეკეთებინა მოედანზე. რა თქმა უნდა, ძალიან მაღალი დონის მწვრთნელები იყვნენ ლობანოვსკიც და ახალკაციც — მათ და ბესკოვს ერთმანეთში რა დამოკიდებულება ჰქონდათ, ამას ფეხბურთელები ვერ ვამჩნევდით, ჩვენ ყველაფერ ამას გარედან ვუყურებდით. რაც შეეხება საწვრთნელ პროცესს, ვარჯიშს ხან ერთი მწვრთნელი ატარებდა, ხან მეორე და ხან მესამე — მაგალითად, როცა ახალკაცი ატარებდა ვარჯიშს, ლობანოვსკი და ბესკოვი განზე იდგნენ და მხოლოდ უყურებდნენ.

ბრაზილია ჩემპიონატის ფავორიტი იყო და მასთან თამაშით ჩვენი შესაძლებლობების შეფასებაც გვაინტერესებდა. კიდევ ის, რომ საბჭოთა ნაკრები თორმეტწლიანი პაუზის შემდეგ პირველად თამაშობდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ესპანეთის მუნდიალზე ჩვენ ჯგუფიდან კი გავედით, მაგრამ მეტიც შეგვეძლო — საბჭოთა ნაკრებში მაშინ ძალიან კარგი ფეხბურთელები თამაშობდნენ, მაგრამ ტურნირისთვის სათანადოდ ვერ მოვემზადეთ და...

ბრაზილიის ნაკრებში მაშინ ბევრი ვარსკვლავი თამაშობდა — ზიკო, ფალკაო, სოკრატესი, ედერი, ჟუნიორი... კაცის მატყუება ყველა ბრაზილიელს შეეძლო, მაგრამ ჩვენც კაი მგლები ვიყავით დაცვაში — ცენტრში სერგეი ბალტაჩა და ჩივაძე, მარცხნივ ანატოლი დემიანენკო, ხოლო მე დაცვის მარჯვენა ფლანგზე ვთამაშობდი.

ბრაზილიასთან პერსონალურად არავის წინააღმდეგ არ მითამაშია. ჩვენ ზონურ დაცვას ვთამაშობდით, ხოლო ბრაზილიელი შემტევები სულ აქეთ-იქით მოძრაობდნენ და პოზიციას იცვლიდნენ.

საბჭოთა ნაკრების გამთამაშებელი იური გავრილოვი იყო, თუმცა თამაში მასზე იყო აწყობილი, ასე არ ყოფილა. თავდასხმაში კი ოლეგ ბლოხინი და შენგელია თამაშობდნენ. მოკლედ, 4-4-2 სქემა ჰქონდა ბესკოვს არჩეული.

პირველ ტაიმში თანაბარი თამაში წავიდა, ბრაზილიას არაფერში ჩამოვუვარდებოდით და დავწინაურდით კიდეც — ანდრეი ბალმა დაახლოებით 30 მეტრიდან გაიტანა, ცოტა არ იყოს, კურიოზული გოლი — ვალდირ პერესის დარი სუსტი მეკარე ბრაზილიის ნაკრებს სხვა დროს ალბათ არც ჰყოლია.

გატანილ გოლს ჩვენში არანაირი ილუზია არ გამოუწვევია, რადგან ვიცოდით, რომ ბრაზილია ბოლომდე იბრძოლებდა, მთელი თამაში წინ იყო. პირველ ტაიმში სხვა საგოლე მომენტი არც ყოფილა, თუმცა შენგელიას წაქცევისთვის მსაჯმა აშკარა 11-მეტრიანი არ დანიშნა.

დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, ბრაზილიამ მაგრად შემოგვიტია. შესვენებაზე ბესკოვს არ დაუვალებია, დაცვაში ჩაჯექითო, მაგრამ ასე კი მოხდა — ეს სიტუაციამ მოიტანა. ბრაზილიამ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა, მაგრამ კონტრშეტევებზე ჩვენც გვქონდა შანსი — შენგელიას და ვლადიმერ ბესონოვს.

ასე იყო თუ ისე, მეორე ტაიმის ნახევარზე მეტი იყო გასული, ბურთი არ გაგვიშვია, მაგრამ ბოლო ოცი წუთისთვის მზად არ აღმოვჩნდით — დავიღალეთ, თავი იჩინა არასათანადო მომზადებამ — ტურნირის დაწყებამდე მოსკოვში, ნოვოგორსკის ბაზაზე ვიყავით შეკრებაზე და ესპანეთში ბრაზილიასთან თამაშის წინა დღეს ჩავფრინდით. მოკლედ, მატჩის ბოლოს ჯანი აღარ შეგვრჩა და ორი ბურთიც გავუშვით — სოკრატესი მარჯვნიდან შემოვიდა ჩვენს საჯარიმოში და რინატ დასაევს ახლო კუთხეში გაუტანა, ხოლო ედერმა ისეთი შორეული დარტყმა შეასრულა, რომ ბურთმა უცნაური ტრაექტორია მოხაზა და დასაევიც უძლური აღმოჩნდა, რეაგირება ვერ მოახერხა.

ფრის შანსი მაინც გვქონდა — მეორე ტაიმში შენგელიამ გაიტანა, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა, თამაშგარე დააფიქსირა. ვიდეოჩანაწერზე გამოჩნდა, რომ შენგელია და მეტოქე მცველი ერთ ხაზზე იყვნენ, მაშინდელი წესებით ასეთ დროს თამაშგარე ინიშნებოდა.

მატჩის მეორე დღეს ესპანურმა პრესამ მსაჯი გააკრიტიკა, მისმა შეცდომებმა მატჩის შედეგზე მნიშვნელოვნად იმოქმედაო. სხვათა შორის, თამაშზე მყოფი ესპანელი გულშემატკივრები ჩვენ გვქომაგობდნენ. ჩვენი ქვეყნიდან კი ნაკრების საქომაგოდ, ფაქტობრივად, არავინ ჩამოსულა, მაშინ ხომ სულ სხვა დრო იყო. თუმცა ნაკრების მწვრთნელთა მოთხოვნით, ესპანეთში ჩვენ მეუღლეებიც წამოგვყვნენ, ისინი ცალკე სასტუმროში ცხოვრობდნენ, მწვრთნელებმა ჩათვალეს, რომ მათი იქ ყოფნა ჩვენზე დადებითად იმოქმედებდა და უკეთეს შედეგს მივაღწევდით.

ამ მატჩში ბრაზილიელთაგან ყველაზე უფრო ედერი მომეწონა, ის ძალიან ჯანიანი იყო, სასწაული დარტყმა ჰქონდა და მისთვის ბურთის წართმევაც ძალიან ძნელი იყო.

რაც შეეხება პრემიალურ სისტემას, მოგებაზე 800 დოლარი გვქონდა, ფრეზე არაფერი. საუკეთესო ოთხეულში რომ მოვხვედრილიყავით, ალბათ რაღაც თანხას მოგვცემდნენ, მაგრამ მაშინ ჩვენ წინასწარ არავინ გვეუბნებოდა, ამა თუ იმ შედეგისთვის რამდენს გადაგვიხდიდნენ.

**სევილია. 14 ივნისი. „რამონ სანჩეს პისხუანი". 70 000 მაყურებელი**
**ტემპერატურა 35 გრადუსი**

**ბრაზილია 2:1 სსრკ**

0:1 ბალი (34), 1:1 სოკრატესი (75), 2:1 ედერი (87)

**ბრაზილია:** პერესი, ლეანდრო, ოსკარი, ლუიზინიო, ჟუნიორი, სოკრატესი, სერჟინიო, ზიკო, ედერი, ფალკაო, დირსეუ (პაულო ისიდორო 46)

**სსრკ:** დასაევი, სულაქველიძე, ჩივაძე, ბალტაჩა, დემიანენკო, ბესონოვი, ბალი, გავრილოვი (სუსლოპაროვი 74), შენგელია (ანდრეევი 88), ბლოხინი, დარასელია

მსაჯი: ლ. კასტილიო (ესპანეთი)



ესპანეთი 82-ზე რამაზ შენგელიამ ბრაზილიას ვერა, მაგრამ შოტლანდიას კი გაუტანა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 15:45 | 2 | ევერტონი-ლივერპული | 2.6 | 3.2 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| 18:00 | 3 | კრისტალ პალასი-ბლექბერნი | 2.4 | 3.3 | 2.7 | 1.38 | 1.27 | 1.48 |
| 18:00 | 4 | სიტი-ტოტენჰემი | 2.2 | 3.3 | 3.0 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 18:00 | 5 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 1.6 | 3.4 | 5.7 | 1.08 | 1.24 | 2.12 |
| 18:00 | 6 | ნორვიჩი-ბოლტონი | 2.5 | 3.3 | 2.6 | 1.42 | 1.27 | 1.45 |
| 18:00 | 7 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 2.4 | 3.3 | 2.7 | 1.38 | 1.27 | 1.48 |
| 18:00 | 8 | საუთჰემპტონი-მიდლსბრო | 2.75 | 3.2 | 2.4 | 1.47 | 1.28 | 1.37 |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 9 | ასტონ ვილა-ბირმინგემი | 1.8 | 3.2 | 4.5 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| 19:05 | 10 | არსენალი-ჩელსი | 2.45 | 3.1 | 2.8 | 1.36 | 1.3 | 1.47 |
| | | **13 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 11 | ფულემი-მანჩესტერი | 5.5 | 3.5 | 1.6 | 2.13 | 1.23 | 1.09 |

**ინგლისი. ჩემპიონატი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 13 | ვესტ ჰემი-ლიდსი | 1.65 | 3.4 | 5.1 | 1.11 | 1.24 | 2.03 |
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 14 | დერბი-ნოტინგემი | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |
| 18:00 | 15 | ლესტერი-რედინგი | 2.05 | 3.3 | 3.3 | 1.26 | 1.26 | 1.64 |
| 18:00 | 16 | მილუოლი-ბრაიტონი | 1.75 | 3.3 | 4.5 | 1.14 | 1.25 | 1.9 |
| 18:00 | 17 | უიგანი-ჯილინგემი | 1.35 | 4.2 | 8.4 | 1.02 | 1.16 | 2.79 |
| 18:00 | 18 | უოტფორდი-ვულვერჰემპტონი | 2.35 | 3.3 | 2.75 | 1.37 | 1.26 | 1.5 |
| 18:00 | 19 | ქპრ-იფსვიჩი | 2.4 | 3.2 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 18:00 | 20 | ბარნლი-პრესტონი | 1.95 | 3.2 | 3.7 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 18:00 | 21 | კარდიფი-სანდერლენდი | 2.7 | 3.3 | 2.4 | 1.48 | 1.27 | 1.38 |
| 18:00 | 22 | ქრიუ-პლიმუთი | 2.15 | 3.3 | 3.1 | 1.3 | 1.26 | 1.59 |
| 18:00 | 23 | სტოკი-ქოვენთრი | 2.0 | 3.2 | 3.5 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 20:30 | 24 | როტერჰემი-შეფილდი | 3.5 | 3.2 | 2.0 | 1.67 | 1.27 | 1.23 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 95 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 2.35 | 3.2 | 2.7 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 18:00 | 96 | ინვერნესი-ჰართსი | 2.75 | 3.2 | 2.3 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| 18:00 | 97 | მოზერუელი-ლივინგსტონი | 1.7 | 3.4 | 4.5 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 18:00 | 98 | რეინჯერსი-დანდი | 1.15 | 6.4 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.17 |
| 18:00 | 99 | დანდი იუნაიტედი-კილმარნოკი | 2.45 | 3.0 | 2.75 | 1.34 | 1.29 | 1.43 |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 100 | დანფერმლაინი-სელტიკი | 9.0 | 5.0 | 1.25 | 3.21 | 1.09 | 1.0 |

**შოტლანდია. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 101 | ჰამილტონი-რეითი | 1.85 | 3.3 | 3.6 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 18:00 | 102 | კლაიდი-პარტიკი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 18:00 | 103 | ერდრი-სტ.ჯონსტონი | 2.35 | 3.2 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 104 | ქუინი-როსი | 1.9 | 3.4 | 3.3 | 1.21 | 1.2 | 1.67 |
| 18:00 | 105 | სტ.მირენი-ფოლკირკი | 2.75 | 3.3 | 2.2 | 1.5 | 1.22 | 1.32 |

**გერმანია. I ბუნდესლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 106 | შალკე-ფრაიბურგი | 1.3 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.13 | 3.0 |
| 17:30 | 107 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 1.55 | 3.55 | 6.0 | 1.07 | 1.23 | 2.23 |
| 17:30 | 108 | მაინცი-ნიურნბერგი | 1.95 | 3.2 | 3.7 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 17:30 | 109 | ბაიერნი-შტუტგარტი | 1.65 | 3.5 | 4.9 | 1.12 | 1.23 | 2.04 |
| 17:30 | 110 | ბოხუმი-ჰამბურგი | 2.65 | 3.2 | 2.5 | 1.44 | 1.28 | 1.4 |
| 17:30 | 111 | ჰანოვერი-ჰერტა | 2.25 | 3.3 | 2.9 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| 17:30 | 112 | ჰანზა-დორტმუნდი | 2.8 | 3.2 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 113 | მიონხენგლადბახი-ლევერკუზენი | 2.8 | 3.1 | 2.4 | 1.47 | 1.29 | 1.35 |
| 19:30 | 114 | ვოლფსბურგი-არმინია | 1.7 | 3.5 | 4.5 | 1.14 | 1.23 | 1.96 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 116 | ბურგჰაუზენი-აინტრახტი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 21:00 | 117 | კოტბუსი-კარლსრუე | 1.85 | 3.2 | 3.7 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 21:00 | 118 | ფიურტი-ალემანია | 2.1 | 3.1 | 3.1 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 119 | ტრირი-საარბრიუკენი | 2.15 | 3.1 | 3.0 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 17:00 | 120 | აუე-ობერჰაუზენი | 1.85 | 3.2 | 3.8 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 17:00 | 121 | ერფურტი-დინამო | 1.9 | 3.2 | 3.6 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 17:00 | 122 | უნტერჰახინგი-ესენი | 1.95 | 3.2 | 3.4 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 17:00 | 123 | ალენი-მიუნხენი | 2.23 | 3.1 | 2.8 | 1.29 | 1.24 | 1.47 |
| 22:30 | 124 | დუისბურგი-კიოლნი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 137 | ნოტინგენი-კობლენცი | 3.0 | 3.2 | 2.0 | 1.54 | 1.2 | 1.23 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 151 | ბაზელი-თუნი | 1.45 | 4.2 | 5.8 | 1.07 | 1.15 | 2.43 |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | |
| 16:30 | 152 | სერვეტი-სტ.გალენი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 16:30 | 153 | იანგ ბოიზი-ქსამაქსი | 2.25 | 3.1 | 3.0 | 1.3 | 1.28 | 1.52 |
| 18:00 | 154 | ციურიხი-შაფჰაუზენი | 1.55 | 3.7 | 5.3 | 1.09 | 1.19 | 2.17 |
| 18:15 | 155 | აარაუ-გრასჰოპერი | 2.2 | 3.1 | 3.0 | 1.28 | 1.26 | 1.52 |

**იტალია. სერია A**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 156 | ატალანტა-უდინეზე | 3.2 | 3.0 | 2.25 | 1.54 | 1.32 | 1.28 |
| 22:30 | 157 | ლაციო-ლეჩე | 2.0 | 3.2 | 3.5 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 158 | სიენა-ინტერი | 4.2 | 3.3 | 1.8 | 1.84 | 1.25 | 1.16 |
| 17:00 | 159 | სამპდორია-მესინა | 1.8 | 3.0 | 5.0 | 1.12 | 1.32 | 1.87 |
| 17:00 | 160 | რეჯინა-კალიარი | 2.3 | 3.0 | 3.1 | 1.3 | 1.32 | 1.52 |
| 17:00 | 161 | მილანი-ფიორენტინა | 1.4 | 3.6 | 8.5 | 1.0 | 1.2 | 2.52 |
| 17:00 | 162 | კიევო-პალერმო | 2.3 | 2.9 | 3.2 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 17:00 | 163 | ბრეშა-რომა | 2.9 | 3.2 | 2.3 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| 17:00 | 164 | ლივორნო-პარმა | 2.25 | 2.9 | 3.3 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| 22:30 | 165 | ბოლონია-იუვენტუსი | 4.9 | 3.3 | 1.7 | 1.97 | 1.26 | 1.12 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 217 | ბილბაო-ატლეტიკო | 2.15 | 3.1 | 3.3 | 1.26 | 1.3 | 1.59 |
| 22:00 | 219 | ალბასეტე-ბარსელონა | 5.2 | 3.4 | 1.65 | 2.05 | 1.25 | 1.11 |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 214 | დეპორტივო-სევილია | 1.85 | 3.3 | 4.0 | 1.18 | 1.26 | 1.8 |
| 19:00 | 215 | ხეტაფე-ვილიარეალი | 2.35 | 3.2 | 2.8 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 23:00 | 216 | ესპანიოლი-მალიორკა | 1.75 | 3.4 | 4.4 | 1.15 | 1.25 | 1.91 |
| 19:00 | 218 | ბეტისი-რასინგი | 1.8 | 3.3 | 4.2 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 19:00 | 220 | ვალენსია-ნუმანსია | 1.35 | 4.5 | 7.5 | 1.03 | 1.14 | 2.81 |
| 19:00 | 221 | მალაგა-ლევანტე | 2.2 | 3.3 | 2.95 | 1.32 | 1.26 | 1.55 |
| 19:00 | 222 | ოსასუნა-სარაგოსა | 1.95 | 3.2 | 3.8 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 21:00 | 223 | რეალი-სოსიედადი | 1.35 | 4.3 | 8.0 | 1.02 | 1.15 | 2.79 |

**ესპანეთი. II დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 224 | ტენერიფე-ფეროლი | 2.15 | 2.6 | 3.7 | 1.17 | 1.35 | 1.52 |
| 20:30 | 228 | ეიბარი-ტარაგონა | 1.75 | 2.8 | 5.0 | 1.07 | 1.29 | 1.79 |
| 20:30 | 234 | სერესი-სპორტინგი | 2.0 | 2.6 | 4.0 | 1.13 | 1.33 | 1.57 |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | |
| 14:00 | 225 | ვალიადოლიდი-კადისი | 2.6 | 2.6 | 2.85 | 1.29 | 1.35 | 1.35 |
| 20:00 | 226 | კორდობა-სალამანკა | 2.9 | 2.5 | 2.6 | 1.34 | 1.37 | 1.27 |
| 19:00 | 227 | ელჩე-მალაგა ბ | 1.8 | 2.7 | 4.8 | 1.08 | 1.3 | 1.72 |
| 20:00 | 229 | ლეიდა-ალმერია | 2.25 | 2.6 | 3.4 | 1.2 | 1.35 | 1.47 |
| 20:00 | 230 | პონტევედრა-მურსია | 2.2 | 2.7 | 3.3 | 1.21 | 1.32 | 1.48 |
| 20:00 | 231 | ტერასა-უელვა | 2.35 | 2.6 | 3.1 | 1.23 | 1.33 | 1.41 |
| 20:00 | 232 | სიუდადი-სელტა | 3.0 | 2.6 | 2.5 | 1.39 | 1.36 | 1.27 |
| 20:00 | 233 | ეხიდო-ალავესი | 2.45 | 2.6 | 3.0 | 1.26 | 1.34 | 1.39 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:15 | 235 | მარსელი-ოსერი | 1.9 | 3.2 | 4.0 | 1.19 | 1.28 | 1.77 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 236 | ბასტია-მონაკო | 3.2 | 2.8 | 2.35 | 1.49 | 1.35 | 1.27 |
| 22:00 | 237 | სტ.ეტიენი-კაენი | 1.9 | 2.8 | 4.7 | 1.13 | 1.35 | 1.75 |
| 22:00 | 238 | ლილი-ნანტი | 1.7 | 3.1 | 5.1 | 1.09 | 1.27 | 1.92 |
| 22:00 | 239 | ბორდო-ლიონი | 2.8 | 2.8 | 2.6 | 1.39 | 1.34 | 1.34 |
| 22:00 | 240 | ტულუზი-ისტრი | 1.75 | 3.2 | 4.8 | 1.13 | 1.28 | 1.91 |
| 22:00 | 241 | რენი-ლანსი | 2.15 | 2.7 | 3.8 | 1.19 | 1.37 | 1.57 |
| 22:00 | 242 | მეცი-სტრასბური | 2.15 | 2.7 | 3.8 | 1.19 | 1.37 | 1.57 |
| 22:00 | 243 | ნიცა-აიაჩო | 1.85 | 3.1 | 4.2 | 1.15 | 1.28 | 1.78 |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 244 | სოშო-პსჟ | 2.25 | 2.9 | 3.2 | 1.26 | 1.32 | 1.52 |

**ბელგია. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 246 | ანდერლეხტი-ბრიუგე | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 22:00 | 247 | ლიერსი-ლოკერენი | 1.95 | 3.2 | 3.6 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 22:00 | 248 | შარლერუა-გენკი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 22:00 | 249 | ბევერენი-ვესტერლო | 2.1 | 3.1 | 3.3 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 22:00 | 250 | სტ.ტრუიდენი-ბეერსხოტი | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 22:00 | 251 | ოსტენდე-ლუვეე | 3.9 | 3.4 | 1.8 | 1.81 | 1.23 | 1.17 |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 252 | გენტი-სტანდარდი | 2.25 | 3.2 | 2.9 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 17:00 | 253 | სერკლი-ბრიუსელი | 1.65 | 3.4 | 4.75 | 1.11 | 1.22 | 1.98 |
| 17:00 | 254 | მუსკრონი-მონსი | 1.55 | 3.5 | 5.6 | 1.07 | 1.21 | 2.15 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 264 | ჰერენვენი-გრონინგენი | 1.65 | 3.5 | 4.7 | 1.12 | 1.22 | 2.0 |
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 265 | დენ ბოსხი-ვალვაიკი | 2.5 | 3.1 | 2.6 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| 21:30 | 266 | როდა-როზენდალი | 1.45 | 3.8 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 21:30 | 267 | ტილბურგი-უტრეხტი | 2.2 | 3.0 | 3.1 | 1.26 | 1.28 | 1.52 |
| 22:00 | 268 | ალკმაარი-ტვენტე | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | |
| 14:30 | 269 | ფეიენოორდი-პსვ | 2.4 | 3.1 | 2.7 | 1.35 | 1.27 | 1.44 |
| 16:30 | 270 | ბრედა-დენ ჰააგი | 1.5 | 3.7 | 6.0 | 1.06 | 1.2 | 2.28 |
| 16:30 | 271 | გრააფსხაპი-ნაიმეგენი | 2.7 | 3.2 | 2.4 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 16:30 | 272 | აიაქსი-ვიტესი | 1.35 | 4.2 | 8.0 | 1.02 | 1.15 | 2.75 |

**პორტუგალია. სუპერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 283 | ბოავიშტა-აკადემიკა | 1.35 | 4.3 | 7.4 | 1.02 | 1.14 | 2.71 |
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:45 | 289 | რიუ ავე-სეტუბალი | 2.1 | 3.1 | 3.3 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 23:45 | 291 | სპორტინგი-ბრაგა | 1.5 | 3.8 | 5.8 | 1.07 | 1.19 | 2.29 |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 284 | ბეირა მარი-მორეირენსე | 1.85 | 3.2 | 4.0 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 23:00 | 285 | ბელენენსეში-ბენფიკა | 3.9 | 3.1 | 1.85 | 1.72 | 1.25 | 1.15 |
| 19:00 | 286 | ლეირია-ჟილ ვისენტე | 1.75 | 3.5 | 4.0 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| 19:00 | 287 | პენაფიელი-გიმარაეში | 2.1 | 3.1 | 3.2 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 288 | ეშტორილი-ნასიონალი | 2.0 | 3.1 | 3.5 | 1.21 | 1.27 | 1.64 |

**პორტუგალია. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 292 | ავეში-ლეიშოეში | 1.8 | 3.3 | 3.6 | 1.16 | 1.2 | 1.72 |
| 18:00 | 293 | ფერეირა-პორტიმონენსე | 1.6 | 3.4 | 4.7 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| 19:00 | 294 | ფეირენსე-ამადორა | 2.55 | 3.1 | 2.4 | 1.39 | 1.23 | 1.35 |
| 20:00 | 295 | სანტა კლარა-მაია | 2.45 | 3.1 | 2.5 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 18:00 | 296 | ოვარენსე-მარკუ | 2.2 | 3.0 | 3.0 | 1.26 | 1.26 | 1.5 |
| 18:00 | 297 | ესპინიუ-ალვერკა | 2.05 | 3.1 | 3.15 | 1.23 | 1.24 | 1.56 |
| 18:30 | 298 | ნავალი-ვარზიმი | 1.65 | 3.3 | 4.5 | 1.1 | 1.2 | 1.9 |
| 18:00 | 299 | გონდომარი-ფელგეირაში | 2.15 | 3.1 | 2.9 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| 18:00 | 300 | ოლიანენსე-შავეში | 1.75 | 3.1 | 4.2 | 1.11 | 1.23 | 1.78 |

**საბერძნეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 301 | კალითეა-კერკირა | 1.65 | 3.3 | 4.7 | 1.1 | 1.22 | 1.93 |
| 18:00 | 302 | იონიკოსი-ხალკიდონა | 2.35 | 2.9 | 2.9 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| 18:00 | 303 | ირაკლისი-პანიონიოსი | 2.05 | 3.1 | 3.2 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 18:00 | 304 | არისი-ეგალეო | 2.55 | 2.9 | 2.6 | 1.35 | 1.28 | 1.37 |
| 18:00 | 305 | ქსანთი-აეკ | 2.9 | 3.0 | 2.3 | 1.47 | 1.28 | 1.3 |
| 18:00 | 306 | ოლიმპიაკოსი-კალამარია | 1.1 | 6.0 | 12.0 | 1.0 | 1.0 | 4.0 |
| 18:00 | 307 | ოფი-პაოკ | 2.3 | 3.1 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 18:00 | 308 | პანათინაიკოსი-ერგოტელისი | 1.1 | 6.0 | 12.0 | 1.0 | 1.0 | 4.0 |

**თურქეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 309 | კაისერი-ბეშიქთაში | 5.6 | 3.5 | 1.55 | 2.15 | 1.21 | 1.07 |
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 14:30 | 310 | ისთანბული-ანკარა | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 14:30 | 311 | სებათი-საკარია | 1.85 | 3.2 | 3.9 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 17:00 | 312 | მალათია-გაზიანთეფი | 2.1 | 3.1 | 3.3 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 20:00 | 313 | სამსუნი-ტრაბზონი | 4.2 | 3.2 | 1.8 | 1.81 | 1.25 | 1.15 |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 314 | კონია-ანკარაგიუჯიუ | 1.8 | 3.3 | 4.1 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| 15:00 | 315 | გენჩლერბირლიგი-დენიზლი | 1.95 | 3.2 | 3.6 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 15:00 | 316 | რიზე-დიარბაქირი | 1.6 | 3.6 | 4.8 | 1.1 | 1.2 | 2.05 |
| 20:00 | 317 | გალათასარაი-ფენერბაჰჩე | 2.25 | 3.2 | 2.9 | 1.32 | 1.26 | 1.52 |

**იაპონია**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 13:00 | 319 | ურავა-იოკოჰამა | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |

**ავსტრია. თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 374 | რაპიდი-მატერსბურგი | 7.0 | 4.0 | 1.35 | 2.54 | 1.13 | 1.0 |

**ჰოკეი. შვედეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 406 | მალმიო-მორა | 2.1 | 4.3 | 2.2 | 1.41 | 1.07 | 1.45 |
| 21:00 | 407 | სიოდერტელიე-იურგორდენი | 2.2 | 4.3 | 2.1 | 1.45 | 1.07 | 1.41 |
| 21:00 | 408 | ტიმრე-ლულეო | 1.4 | 4.5 | 4.4 | 1.06 | 1.06 | 2.22 |
| 21:00 | 409 | ფერიესტადი-მოდო | 1.8 | 4.4 | 2.7 | 1.27 | 1.08 | 1.67 |
| 21:00 | 410 | ფრიოლუნდა-ლინჩიოპინგი | 1.75 | 4.7 | 2.8 | 1.27 | 1.07 | 1.75 |
| 21:00 | 411 | ბრიუნესი-ჰვ 71 | 2.1 | 4.4 | 2.2 | 1.42 | 1.07 | 1.46 |

**ჰოკეი. ფინეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 421 | ტურკუ-სეიპა | 1.4 | 4.4 | 4.8 | 1.06 | 1.08 | 2.29 |
| 19:30 | 422 | იუვესკიულე-ესპოო | 2.05 | 4.2 | 2.2 | 1.37 | 1.06 | 1.44 |
| 19:30 | 423 | კერპეტი-ტაპარა | 1.45 | 4.4 | 4.3 | 1.09 | 1.08 | 2.17 |
| 19:30 | 424 | ჰელსინკი-ჰაამეენლინა | 1.8 | 4.3 | 2.6 | 1.26 | 1.06 | 1.62 |
| 19:30 | 425 | ილვესი-ესეტი | 1.8 | 4.3 | 2.6 | 1.26 | 1.06 | 1.62 |

**ჰოკეი. სლოვაკეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 459 | სკალიცა-ტრენჩინი | 2.9 | 4.0 | 1.75 | 1.68 | 1.09 | 1.21 |
| 19:00 | 460 | ზვოლენი-კოშიცე | 1.7 | 4.1 | 3.0 | 1.2 | 1.08 | 1.73 |
| 19:00 | 461 | დუბნიცა-ჟილინა | 4.5 | 4.2 | 1.4 | 2.17 | 1.06 | 1.04 |
| 19:00 | 462 | მიკულაში-ნიტრა | 2.0 | 4.0 | 2.4 | 1.33 | 1.09 | 1.5 |
| 19:00 | 463 | სლოვანი-პოპრადი | 1.3 | 4.5 | 5.5 | 1.0 | 1.05 | 2.47 |

**ჰოკეი. გერმანია**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 470 | ინგოლშტადი-ჰანოვერი | 1.4 | 4.7 | 4.3 | 1.07 | 1.05 | 2.24 |
| 21:30 | 472 | აუგსბურგი-იზერლონი | 1.5 | 4.7 | 3.7 | 1.13 | 1.06 | 2.07 |
| 21:30 | 474 | კასელი-ჰამბურგი | 2.55 | 4.5 | 1.9 | 1.62 | 1.08 | 1.33 |
| 21:30 | 475 | ნიურნბერგი-კიოლნი | 2.0 | 4.3 | 2.3 | 1.36 | 1.06 | 1.49 |
| 21:30 | 476 | ვოლფსბურგი-კრეფელდი | 2.0 | 4.4 | 2.5 | 1.37 | 1.11 | 1.59 |

**ჰოკეი. შვეიცარია**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:45 | 487 | ლანგნაუ-ცუგი | 2.1 | 4.2 | 2.2 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 21:45 | 488 | ციურიხი-ამბრი | 1.75 | 4.3 | 2.75 | 1.24 | 1.06 | 1.67 |
| 21:45 | 489 | ლუგანო-დავოსი | 1.8 | 4.3 | 2.6 | 1.26 | 1.06 | 1.62 |
| 21:45 | 490 | ლოზანა-რაპერსვილი | 2.2 | 4.2 | 2.1 | 1.44 | 1.07 | 1.39 |
| 21:45 | 491 | სერვეტი-კლოტენი | 1.7 | 4.4 | 2.8 | 1.22 | 1.05 | 1.71 |
| 21:45 | 492 | ბერნი-ფრიბურგი | 1.6 | 4.4 | 3.2 | 1.17 | 1.06 | 1.85 |

**ჰოკეი. რუსეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:30 | 507 | აკ ბარსი-ასკ | 1.15 | 5.0 | 7.0 | 1.0 | 1.0 | 2.91 |
| 15:00 | 508 | ნოვოკუზნეცკი-ხიმიკი | 1.8 | 4.8 | 2.5 | 1.3 | 1.04 | 1.64 |
| 19:00 | 509 | ლოკომოტივი-დინამო | 2.15 | 4.0 | 2.4 | 1.39 | 1.13 | 1.5 |
| 19:00 | 510 | სპარტაკი-მაგნიტოგორსკი | 4.0 | 4.5 | 1.5 | 2.11 | 1.09 | 1.12 |
| 15:30 | 511 | სიბირი-ავანგარდი | 4.2 | 4.5 | 1.4 | 2.17 | 1.04 | 1.06 |
| 18:30 | 512 | ნეფტეხიმიკი-სევერსტალი | 1.95 | 4.5 | 2.3 | 1.36 | 1.05 | 1.52 |

**კრივი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 381 | კლიჩკო ვ.-უილიამსი დ. | 1.15 | 30.0 | 4.5 | | | |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24 +%

# ჩვენ თქვენ აგაშენებთ...
## ევროძიუდოს შეფები გვპირდებიან

*კვირაც არ გასულა, რაც საქართველოს ძიუდოს ფედერაცია ევროპის ძიუდოს ფედერაციის კონგრესზე ევროპაში საუკეთესოდ დაასახელეს. თბილისში დაბრუნებულმა ფედერაციის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა [illegible] ოლიმპიურ კომიტეტში პრესკონფერენცია გამართეს. მასმედიას ძიუდოს ფედერაცია სრული შემადგენლობით შეხვდა. ის კი არა, ქართველთა გვერდით ირანის ფედერაციის პრეზიდენტი და ნაკრების თავკაციც ისხდნენ.*



ევროკონგრესიდან ჩამოსული დილარ ხაბულიანი იმედიანადაა

ევროპული აღიარება პირველმა ოლიმპიური კომიტეტის შეფმა ჯანო ბაგრატიონმა მოგვილოცა. ძიუდოისტებს კი ზარ-ზეიმით მილოცვას 17 დეკემბერს დაგეგმილი სეოკ-ის ყრილობისთვის დაჰპირდა.

დილარ ხაბულიანის ნაუბრის უმეტესი წილი მადლობები იყო. პრეზიდენტმა ფედერაციის ყველა მუშაკის შრომა ახსენა. ოთხწლიან ნაყოფიერ მუშაობაში ფედერაციის მაღალჩინოსნებისა და მომავალი თაობის აღმზრდელი მწვრთნელების წილი თანაბარიაო. იქვე ფინანსური კრიზისის წლებიც გაიხსენა, ძიუდოისტებს ხელფას-პრემიები ოლიმპიურმა კომიტეტმა რომ დაუნიშნა.

„12 წელიწადია, პრეზიდენტი ვარ და აქამდე არასოდეს მომხდარა, სახელმწიფოს ჩვენი ფედერაციისთვის სპორტული ინვენტარი შეეძინა — თქვა ხაბულიანმა — მიხეილ სააკაშვილმა წლეულს 70 ტატამი გვისაჩუქრა, რომლის ნახევარიც უკვე გავანაწილეთ. ნახევარი კი ჯერ გზაშია ამ ტატამების საქართველოს რეგიონებში დაგზავნა ქართული ძიუდოს უკეთესი მომავლის საფუძველია.

...ჩვენს ფედერაციას თუ ევროპაში საუკეთესოდ აღიარებდნენ, წინასწარ მართლა არ ვიცოდი. ეს ჩემთვისაც უდიდესი სიურპრიზი იყო. ევროპის ფედერაციის ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება მარტო ოლიმპიადით როდი მიიღო. მათ ბოლო ოთხ წელიწადში ნაჩვენები შედეგები დაგვიფასეს. თუმც მარტო ოლიმპიადითაც საუკეთესოები ვიქნებოდით. მედლებზე რომ არაფერი ვთქვათ, სრული გუნდით ათენში ევროპიდან მხოლოდ ჩვენ და საფრანგეთი ვიყავით ჩასულნი. თუკი ადრე ძიუდოში აზიელთა უპირატესობა იგრძნობოდა, ახლა პირიქითაა. ოლიმპიურ თამაშებზე ძიუდოში მედლების 63 პროცენტი ევროპელებმა მოიპოვეს და ამაში ჩვენი როლიც მნიშვნელოვანია.“

პრეზიდენტმა ერთი სასიხარულო ამბავიც გაახმაურა — „ბუდაპეშტში საბერძნეთის ძიუდოს ფედერაციის თავკაცებს პირადად ვესაუბრე და ჯარჯი ზვიადაურის „საგარეჯოში“ ჭიდაობაც საბოლოოდ გადაწყდა. უკვე შეგვიძლია იგი საგარეჯოელად ჩავთვალოთ. იგივეს თქმა შეიძლება 60-კილოგრამში ევროპის ვიცე-ჩემპიონ ციდირიდისზეც (გედენიძე), ხოლო ებრაელი არიელ ზეევის საკითხს მალე დაესმება წერტილი. ჯერჯერობით ყველაფერი სასურველი სცენარით მიდის. ახლა მთავარი თავად ზეევის თანხმობაა. ოლიმპიადის შემდეგ იგი ინდოეთში გაემგზავრა დასასვენებლად და სამშობლოში დაბრუნებისთანავე დაველაპარაკებით.“

„საგარეჯოზე“ ჩამოვარდა სიტყვა და იქვე მისი დამფუძნებლის, პარლამენტარ გია ნაცვლიშვილისგან შევიტყვეთ, რომ მისი ინიციატივა სხვა პარლამენტარებსაც აუტაციათ. გია ხევიაშვილი შიდა ქართლში აკეთებს კლუბს, დავით ნამგალაური — დუშეთში და მალე ალბათ საკლუბო ჩემპიონატის ჩატარებაც შეგვეძლება.

ბოლოს ირანელებსაც დაუთმეს მიკროფონები და მათაც ბუდაპეშტური ჯილდოს მილოცვის შემდეგ საქართველოში ჩამოსვლის მიზეზი გაგვიმხილეს.



ტარიელ ციდირიდისი

„დიდი ხანია, ძიუდოში ვტრიალებ და ქართული ძიუდოს ტრადიციებსაც მშვენივრად ვიცნობ, მაგრამ ბოლო წლებში აშკარად იგრძნობა, რომ უდიდესი პროგრესი განიცადეთ. აქ იმიტომ ჩამოვედით, რომ თქვენი გამოცდილება გამოვიყენოთ და რამდენიმე მწვრთნელი ირანში წავიყვანოთ. უახლოესი ვიზიტით იანვარში გესტუმრებით, თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე“ — გვითხრა ირანული ძიუდოს პირველკაცმა მუჰამედ დერაკხანმა.

თბილისური ტურნირი დილარ ხაბულიანმაც ახსენა — უკვე 30-ზე მეტმა ქვეყანამ გამოთქვა ჩამოსვლის სურვილი და როგორც ვიცით, უძლიერეს შემადგენლობებსაც ჩამოიყვანენო.

და კიდევ, ევროპული ძიუდოს ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებით მალე საქართველოში მსოფლიოს სტანდარტების ძიუდოს ცენტრის მშენებლობა დაიწყება. მატერიალურ დახმარებას უცხოელები გაგვიწევენ. შემდეგ კი ამ ცენტრში მსოფლიოს უძლიერესი ნაკრებები შეიკრიბებიან ხოლმე.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ჩოგბურთი








# ზანკტანტონური არდადეგები

თუკი საჩოგბურთო სეზონი ოფიციალურად მხოლოდ გასულ პარასკევ-უქმეებზე, დევისთასობის ფინალის შემდეგ გასრულდა, მათთვის, ვისაც არც ედევისებოდა და არც არაფერი, არდადეგები უკვე კარგა ხანია დაიწყო. ამათ რიცხვს ეკუთვნიან ამ ფოტოებზე აღბეჭდილი სახელიანი მეჩოგნეებიც, რომელნიც ახლა ავსტრიულ საზამთრო კურორტ ზანკტ ანტონში სალლაბუცო ბურთაობისთვის შეკრებილან და — თავადაც ხედავთ — ჟიგრიანად ისვენებენ. სუფრასთან ერთმანეთს რომ შეტკბობიან და ღიმილობენ, ეგენი გერმანელთა მთავარმეჩოგნე, 26 წლის ტომი ჰაასი და ავსტრიელ ქალმეჩოგნეთაგან უმომხიბვლელესი, 28 წლის ბარბარა შეტი გახლავან. ბარბარას ასეთი დევიზი ჰქონია: „ყოველ დღეს ისე გიყვარდეს, თითქოს ეს უკანასკნელად ხდებოდეს!“ ჰოდა, საფიქრებელია, რომ ის და ტომი ცუდ დროს არც ნაამვახშმევს გაატარებდნენ. ვახშმობისას კი შემთვრალმა ჰაასმა აკორდეონზეც შეუბერა — მის გვერდით გიტარა მისმა თვისტომ-კოლეგა ნიკოლას კიფერმა აკვნესა. ხოლო, აგერ რომ არყისჭიქებიან ლანგარს დაატარებს, ამ კაცში ვინძლო ავსტრალიის ღია პირველობის ოდინდელი გამარჯვებული, 40 წლის ჩეხი პეტრ კორდა ამოიცნოთ. ახალგაზრდებში ის თავს ისევე ორგანულად გრძნობს, როგორც რომ ჩაკიდული ლუდით გაპიპინებულ კათხაში.

# მარკოიშვილმა დროს გაუსწრო
## მიღწეულით უკმაყოფილება მანოს სავიზიტო ბარათია



**სადაც კი მანუჩარ მარკოიშვილს უთამაშია, თავისი წილი პატივისცემა ყველგან დაუმსახურებია. ახალგაზრდა ქართველ უკანახაზელს პირველ რიგში მისი შრომისმოყვარეობის გამო აფასებდნენ — მანოს სიბეჯითე ხომ მისი შანსია. მარკოიშვილი ტრადიციას არ ღალატობს და სლოვენიის ყველაზე წარმატებულ გუნდ „ოლიმპიაშიც" დაიმსახურა კეთილგანწყობა. მისი სათამაშო დრო თამაშსა და თამაშს შუა იზრდება. თავად ამბობს, საკუთარი თამაშით უკმაყოფილო ვარო, მაგრამ უხეიროდ რომ ირჯებოდეს, მოედანზე 20-30 წუთით არავინ გაიყვანდა. მაინც უკმაყოფილოა, მომატებას ცდილობს და სწორედ ესაა მისი, როგორც სპორტსმენის მთავარი უპირატესობა...**

— ხვალ მეტად სერიოზულ მეტოქეს ვხვდებით. „მაკაბი" არა მხოლოდ ჩვენი ჯგუფის, არამედ მთლიანად ევროლიგის ფავორიტია. ჩვენ კი მთელი მონდომებით ვემზადებით, მაგრამ მაინც ვეჭვობ, გამარჯვება მოვახერხოთ.

**— „მაკაბის" ამბავი გასაგებია, მაგრამ წინა ტურში ბევრად სუსტ „ვილერბანს" ვერ მოუგეთ. ის კი არა, 54 ქულაზე მეტი ვერ ჩააგდეთ. რა დაგემართათ?**

— ელემენტარულ სიტუაციაში რომ შეცდები, მეტის ღირსი ხარ. მარტო ფარქვეშიდან 14-ჯერ ააცილეს ჩვენიანებმა და „ოლიმპიას" მწვრთნელი საშო ფილიპოვსკი კინაღამ გადაირია. მეორე დღეს მწვრთნელმა ფარქვეშ დაგვაყენა და მთელი ვარჯიში სამწამიანიდან ვესროდით ბურთს.

**— ფარქვეშიდან აცილება არაა ობიექტური მიზეზი...**

— ალბათ უფრო იმიტომ წავაგეთ, რომ თავდაჯერებულები ვიყავით. წინა ტურში ძლიერ „სიენას" მოვუგეთ, ჯგუფში პოზიციები გავიმყარეთ და აუტსაიდერ „ვილერბანთან" სათამაშოდაც დიდ გულზე ჩავედით საფრანგეთში. გვეგონა, იოლად ვაჯობებდით მეტოქეს, მაგრამ შეტევაში საშინლად ვითამაშეთ.

**— ბოისამ მაინც არ შეირცხვინა თავი, 9 ქულა და 11 მოხსნა მოუგროვდა...**

— მოხსნებზე მართლაც კარგად იმუშავა, მაგრამ საერთო ჯამში კმაყოფილი მაინც არ დარჩენილა. საამისოდ ბოისას ჰქონდა მიზეზი — ავადმყოფობის გამო ბოლო ორი ვარჯიში გაუცდა. მეც ცუდად ვითამაშე „ვილერბანთან", თუმც 20 წუთი კი ვიყავი მოედანზე.

**— ისე, ბოლო დროს ფილიპოვსკი უფრო გენდობა. თუ ადრე ათი წუთი იყავი ხოლმე მოედანზე, ახლა მინიმუმ 20 წუთს გათამაშებს. რამე შეიცვალა?**

— ბოლო მატჩებში მართლაც ხშირად მიწევს თამაში, რაც თავისთავად კარგია, მაგრამ კმაყოფილი მაინც არ ვარ.

**— თამაშის ხარისხი რომ არ გაგეუმჯობესებინა, დროს ხომ არ გაგიზრდიდნენ?**

— ალბათ ეგრეცაა, მაგრამ ვგრძნობ, რომ გუნდისთვის მეტის გაკეთება შემიძლია. მწვრთნელი იმიტომ მენდობა, რომ ვარჯიშებზე არაფერს ვიზარებ, ყოველ მის დავალებას გულმოდგინედ ვასრულებ. რაზეც ნაღდად შემიძლია ვთქვა, რომ დავხვეწე, დაცვაში თამაშია. ვაკეთებ იმას, რასაც მწვრთნელი მეუბნება და ყველაფერი იოლად გამომდის.

**— „ბოსნას" წინააღმდეგ ადრიატიკულ ლიგაში ახლახან ჩატარებულ მატჩს ხომ არ გაიხსენებ...**

— ამ შეხვედრაში ხუთეულში ვიყავი და მოედანზე 32 წუთი გავატარე. ალბათ ეს იყო ჩემი საუკეთესო მატჩი „ოლიმპიაში". თუმც ისიც უნდა ვთქვა, რომ იღბალმაც წამაშველა ხელი, რადგან ჩემს მეტოქეს აშკარად ჩაუვარდა თამაში. ასე იყო თუ ისე, მწვრთნელი უკმაყოფილი დარჩა და მეც ეს მინდა.

**— ხვალ „მაკაბისთან" რთული მატჩი გელით და თუ წააგეთ, ევროლიგის ჯგუფიდან გასვლა გაგიძნელდებათ...**

— ჯერ ადრეა მაგაზე ლაპარაკი, რადგან წინ კიდევ ცხრა ტურია და თან ჯგუფიდან ხუთი გუნდი გადის — პლუს მეექვსე, თუ დანარჩენი ჯგუფების მეექვსე ადგილოსნებზე უკეთესი შედეგი ექნება. კარგი იქნება, თუ მოვიგებთ, მაგრამ წაგების შემთხვევაშიც ბევრს არაფერს ვკარგავთ. მთავარია, კონკურენტებთან — „ჟალგირისთან", „სიენასთან", აეკ-თან და „ვილერბანთან" არ წავაგოთ.

**— ბოლოს სლოვენიის ვიზაზე მინდა გკითხო, რომლის აღებაც გაგიჯანჯლდა და „ოლიმპიას" გასვლით თამაშებზე ვერ დაჰყვებოდი...**

— ახლა ყველაფერი წესრიგშია და საზღვარზე კაციშვილი ხელს ველარ მახლებს. დავისვენე, ეს საბუთი რომ გავაკეთე. ვიზას მომავალი წლის ნოემბრამდე აქვს ვადა და თუ ამ სეზონის ბოლოს „ოლიმპიას" დავტოვებ, სლოვენიაში შესვლა-გამოსვლის უფლება მაინც მექნება.

**— მაგას რატომ ამბობ, „ოლიმპიადან" მართლა ხომ არ აპირებ წასვლას?**

— კონტრაქტი სეზონის ბოლომდე მაქვს და თუ არ გამიხანგრძლივებს, წასვლა მომიწევს. ჯერჯერობით უკმაყოფილონი არ არიან ჩემით და ვნახოთ, მერე რა იქნება.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

7 დეკემბერი

**ინდიანა 86:89 მილუოკი**

**ინდიანა:** გილი, მილერი (32), ფ. ჯონსი (13), ფოსტერი (9), ჰარისონი (13); ჯონსონი (9 ქულა, 13 პასი), კროშერი (7 ქულა, 12 მოხსნა), ჯ. ჯონსი (3), ჰეისლიპი, ფოულკინსი, ედვარდსი

**მილუოკი:** უილიამსი (6), რედი (28), მეისონი (21), სმიტი (12), გაძურიჩი (9 ქულა, 13 მოხსნა); სტრიკლენდი (6), ჯეიმსი (3), გილი (3), ფიზერი (1), ფაჩულია (9 წუთი, 3 მოხსნა)

**მინესოტა 87:97 დალასი**

**მინესოტა:** გარნეტი (32 ქულა, 12 მოხსნა), შჩერბიაკი (18)

**დალასი:** ნოვიცკი (34), ჰოვარდი (13 ქულა, 12 მოხსნა)

**ფინიქსი 118:104 გოლდენ სტეიტი**

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (33 ქულა, 11 მოხსნა), ნეში (26 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა), მარიონი (23 ქულა, 10 მოხსნა), ჯონსონი (20)

**გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (32 ქულა, 10 მოხსნა), დანლივი (24 ქულა, 13 მოხსნა)

**საკრამენტო 109:92 შარლოტი**

**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (30 ქულა, 10 მოხსნა), მილერი (27), სონგაილა (17 ქულა, 11 მოხსნა)

**შარლოტი:** სმიტი (16)

**ჰიუსტონი 89:81 ნიუ ორლეანი**

**ჰიუსტონი:** მინგი (21), მაკგრეიდი (18)

**ნიუ ორლეანი:** ვესლი (18), ნეილონი (15)

**მემფისი 96:88 ნიუ იორკი**

**მემფისი:** უოტსონი (22), მილერი (20), გასოლი (16)

**ნიუ იორკი:** კროუფორდი (17), მუჰამედი (16 ქულა, 12 მოხსნა), ტ. ტომასი (16)

**კლივლენდი 103:97 ნიუ ჯერსი**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (27), ილგაუსკასი (19 ქულა, 10 მოხსნა), გუდენი (16 ქულა, 10 მოხსნა), მაკინისი (16)

**ნიუ ჯერსი:** ჯეფერსონი (27), კოლინზი (17), მურნინგი (16)

# რეჯი კი არა რედი
## მილერს მემკვიდრე სიბერეში მიეწია



რეჯი მილერი: მე დავბრუნდი!

**მილუოკელი** „ხარირმები" აშკარად გამოაფხიზლა მათებურ გაზეთ „ჯორნალ სენტინელის" სტატიამ. მეორე დღეს, ანუ გუშინწინ „ბაქსი" ინდიანაპოლისში ჩავიდა და იქაური „პეისერზი" დაამარცხა... ჩოქა, რითაც წლეულს გასვლაზე შვიდი მარცხის წილ პირველი გამარჯვება ჩაიწერა.

„ინდიანას" თანდათან ეტყობა ლიდერების არყოლა. თავიდან, როცა დეტროიტელებთან და მათ ფანებთან ჩხუბის გამო „პეისერზმა" რონ არტესტი, ჯერმენ ონილი და სტივ ჯექსონი დაკარგა, დანარჩენმა გუნდმა ინერციით მაინც მოახერხა ერთი-ორი გამარჯვების მოპოვება. მაგრამ ახლა რიკ კარლაილის ბიჭები თამაშს თამაშზე აგებენ, აგერ, მიჯრით მეხუთედ დამარცხდნენ და საცხრილო საქმეც წაუხდათ — აღმოსავლეთში პირველი ადგილიდან მეექვსემდე ჩამოვარდნენ.

„მილუოკისთან" „ინდიანას" ვერც გუნდის სიმბოლოდ ქცეულმა რეჯი მილერმა უშველა. 39 წლისა მოყრილმა მილერმა ხელის ტრავმის გამო სეზონის პირველი 16 შეხვედრა გამოტოვა და მეორე მატჩია, დაბრუნდა, თანაც თავისი მონაგარი კვლავ ააცილა 20 ქულიან თამასას. მაგრამ რად გინდა, გვერდში მდგომები ხელებში უყურებდნენ და ეს ბერიკაცი რამდენს უნდა გასწვდეს?

„მილუოკი" კი — თავშივე მოგახსენეთ და — მოსაგებად იყო მომართული. სტუმრები ბოლო მეოთხედს შვიდქულიანი უპირატესობით შეხვდნენ, დასკვნით 12-წუთეულში კი მასპინძლებს „ბაქსის" მთავარმექულე მაიკლ რედმა გაუჭირვა საქმე. შარშან ოლსტარდაჭაშნიკებულმა რედმა ამ დროს 11 ქულა მიაშველა თავისიანებს და ბოლო წუთზე უმნიშვნელოვანესი სამქულიანიც ჩააგდო.

„მაიკ დიდი მსროლელია, სწორედ რომ, რეჯი მილერივითაა" — ნამატჩევს შეგირდს გარჯას უფასებდა მწვრთნელი ტერი პორტერი.

რაც შეეხება თავად მილერს, რეჯის თავი არ დაუფასებია, როცა უთხრეს ასაკოვანი კაცის კვალობაზე მშვენივრად ითამაშეთო. თქვა როცა გუნდს ლიდერები აკლია და თანაც ზედიზედ ოთხჯერ წაუგია, უნდა მეთამაშა, სხვა რა უნდა მექნაო. ეს ჩემი ვალია და ასაკი და დაღლა რა მოსატანია, თუ საჭიროა 48 წუთსაც ვითამაშებო. ისე კი, 32 ქულის მოხვეჭას 39 წუთი ამყოფინა.

რეჯი მილერი ჩამავალი ვარსკვლავია, ამომავალზეც ვთქვათ. ისევ და ისევ, ლებრონ ჯეიმსი! რა თქმა უნდა, ლებრონ ჯეიმსი! აი, ვინ იმსახურებს საქებარ აბზაცებს. ამ 19 წლის ბიჭს ყველაფერი შეუძლია, მარტო ნიჭიერი ჯეელი კი არა, უკვე დიდი და ჩამოყალიბებული მოთამაშეა. სანამ ნბა-ში მოვიდოდა, მეჯიქ ჯონსონს გვერდში უყენებდნენ. ახლა კი ის თავის სახელსა და დიდებას თავისით სჭედს და მანამდე წყალწყალებული „კლივლენდისთვის" — ხავსი რა მოსატანია და — აფრებდაბერილ გემად იქცა.

გამოჯანმრთელებული ჯეისონ კიდის „ნიუ ჯერსის", გარდა იმისა, რომ 27 ქულა უმარჯვა, ამ 203-სანტიმენტრიანმა და 109-კილოგრამიანმა მოზვერმა ბურთიც ისე გაუთამაშა, კიდსაც და ნბას ყველა სხვა ცქვიტ გამთამაშებლებსაც შეშურდებოდა. 8 პასი და 3 ჩაჭრა მიითვალა და წამითაც არავინ დააეჭვა, ვინ იყო მოედნის ბატონი და პატრონი. „კლივლენდ კავალიერზიც" ამ მოგებით აღმოსავლეთში შემთხვევით გალიდერებულ „ვაშინგტონს" გაუტოლდა.

**კოტე ყორშია**



ნელი სალაძე, მხატვრული ტანვარჯიშის
ახალი ფედერაციის ახალი პრეზიდენტი

# განხეთქილება ტანვარჯიშში
## მხატვრულმა ტანმოვარჯიშეებმა თავისი ფედერაცია ჩამოაყალიბეს

„სასიხარულოა, რომ მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაცია დღეიდან დამოუკიდებლად იარსებებს და მისი პრეზიდენტი ქალბატონი ნელი სალაძე იქნება. ამ ბოლო წლების განმავლობაში ერთად დგომით შევინარჩუნეთ სპორტის ეს სახეობა. მადლობა ყველას, მთელ კოლექტივს“ — განაცხადა საქართველოს მხატვრული ტანვარჯიშის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ელისო ბედოშვილმა პრესკონფერენციაზე, რომელიც ეროვნული ფედერაციის დაფუძნებას მიეძღვნა.

ითქვა ისიც, რომ მხატვრული ტანმოვარჯიშეები, რომელთაც 12 წლის განმავლობაში უცვლელი პრეზიდენტი ომარ ღონღაძე ხელმძღვანელობდა, ვერანაირ მხარდაჭერას ვერ გრძნობდნენ. ვერ მოხერხდა კიევში ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებაც კი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის სალიცენზიო ტურნირი იყო. როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა განაცხადა, ფედერაციის მაღალჩინოსნები საგანგებოდაც კი მალავდნენ მიწვევებს. სწორედ ამ ფაქტის გამო ორი წლით ჩამოერთვათ მხატვრულ ტანმოვარჯიშეებს ევროპაში ასპარეზობის უფლება და ეს იმ დროს, როცა საკმაოდ ძლიერი სპორტსმენები გვყავს — თათა ტონაძე, ქეთი ხატიაშვილი, ელენე გავარდაშვილი და პატარების თაობაც არაჩვეულებრივი გვეზრდება.

ელისო ბედოშვილი: „ეს გოგონები ისე გაიზარდნენ, რომ ძირითადად მშობლების თანხებით მიემგზავრებოდნენ შეჯიბრებებზე, როცა მათზე სწორედ ტანვარჯიშის ფედერაციას უნდა ეზრუნა. მხოლოდ წლეულს გამოიყო სამ ტურნირზე წასასვლელი თანხა, ისიც იმიტომ, რომ არჩევნები ახლოვდებოდა... არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დაგვირიგეს სპორტსმენების ეკიპირება. განათლების სამინისტრომ 15 თავის დავალიანება დაგვიფარა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც სასამართლოში ვაპირებდით სარჩელის შეტანას.“

ინეზა მელაძე, მხატვრული ტანვარჯიშის ნაკრების ქორეოგრაფი: „დილიდან საღამომდე დარბაზში ვარ და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ სპორტსმენებთან უმეტეს დროს მე ვატარებ. ვიცი ამ წლების განმავლობაში ჩვენი სპორტსმენები რა პირობებშიც ვარჯიშობდნენ. 6 მწვრთნელის ამარა დავრჩით, რადგან ასეთი პირობებში არავის უნდა მუშაობა. პრესკონფერენციაზე ისიც ითქვა, რომ ტანვარჯიშისთვის გამოყოფილი ფინანსები არამიზნობრივად იხარჯებოდა. როგორც ცნობილია, მარტო ოლიმპიური კომიტეტის მიერ ტანვარჯიშის სახეობებისთვის 178 ათას 200 ლარი იყო გამოყოფილი. აქედან მხატვრულ ტანვარჯიშზე სულ 8 ათას ლარამდე თუ იქნება დახარჯული. თან ტანვარჯიშის სახეობების ფედერაცია არალეგიტიმური ყოფილა და წესდებაშიც ძალიან ბევრი დარღვევა ჰქონიათ. ამ ყველა პრობლემამ გადააწყვეტინა მხტვრული ტანვარჯიშის წარმომადგენლებს, რომ შეექმნათ საკუთარი ფედერაცია და დარწმუნებულებიც არან, რომ მისი ღირსეული პრეზიდენტი ნელი სალაძე სათანადოდ წარუძღვება საქმეს.“

**ნინო ლეჟავა**



# ლიმა წლის ბრაზილიელია

**წლევანდელ** ოლიმპიადაზე საინტერესო ბევრი მოხდა. ზოგიერთი ამბავი სპორტს სცილდება და კურიოზების ან კრიმინალის სფეროშიც კი გადადის. თუნდაც კოსტას კენტერისისა და კატარინა ტანუს ავტოკატასტროფა ვთქვათ. მათი დანაშაული დამტკიცებული არ არის, მაგრამ მთელ სპორტულ სამყაროს სწამს, რომ ყველაფერი დოპინგ-ტესტის თავიდან ასაცილებლად იყო გათამაშებული.

მრავალ სპორტსმენს მოპოვებული ჯილდოები დოპინგის გამო ჩამოერთვა, მაგრამ გვახსოვს შემთხვევა, ალალ-მართალმა კაცმა ოქროს მედალი ნაგიჟარი მაყურებლის გამოხტომის შედეგად რომ დაკარგა...

ბრაზილიელი ვანდერლეი ლიმა მარათონულ გარბენში მონაწილეობდა. ფინიშამდე ექვსი კილომეტრით ადრე დიდი უპირატესობით ლიდერობდა კიდეც, როცა მაყურებელთა რიგებიდან მავანი ირლანდიელი მღვდელყოფილი გამოხტა, სპორტსმენს ხელი ჩაავლო და გზიდან პირდაპირ მოცქირალთა რიგებში გაათრია. რა ოფოფებმა წამოუფრინეს ირლანდიელს, ვერ გეტყვიტთ, ერთი კი ფაქტია, ამ ოფოფების გამო ლიმამ ძვირფასი წამები და ტემპი დაკარგა და საბოლოოდ, გარანტირებული ოლიმპიური ოქროს ნაცვლად ბრინჯაოლა შერჩა.

ბრაზილიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ეს ყველაფერი გაითვალისწინა და სამშაბათს ქვეყნის წლის საუკეთესო სპორტსმენის ჯილდო სწორედ მას და არა სხვას გადასცა. ამას გარდა კომიტეტმა ლიმას კიდევ ერთი სიურპრიზი მოუწყო. ოფიციალურ ცერემონიალზე ბერძენი პოლივიოს კოსივასიც დაპატიჟა, ეს კი ის კაცია, რომელმაც ლიმასთან პირველმა მიირბინა, გიჟ ირლანდიელს ხელიდან გამოსტაცა და ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ისევ გზაზე დააყენა.



აქვე ერთი ფაქტიც გვახსენდება. ბერძენმა ტაქსისტმა თავის მანქანაში ოლიმპიადის მონაწილის მიერ დაკარგული მედალი იპოვა, წამით არ დაუყოვნებია და ნაპოვნი ოლიმპიურ კომიტეტში მიიტანა, რის შემდეგაც იგი პატრონს დაუბრუნეს.

**ლადო ჭულუკიძე**

# სასიკვდილო იარაღი
## მესა მუშტმა შეიწირა

**გასულ** კვირას დაბალწონოსანმა პროფესიონალმა მოკრივეებმა — პანამელმა რიკარდო კორდობამ და კოლუმბიელმა კარლოს მესამ ერთი ჩვეულებრივი, არაფრით გახმაურებული მუშტი-კრივი გამართეს. კორდობამ მე-12 რაუნდში დაანოკაუტა მესა, რომელიც ოთხ დღეში... გარდაიცვალა. კოლუმბიელმა სიცოცხლე ისე დაასრულა, გონზე ვერ მოვიდა და ექიმებმაც ვერაფერი უწამლეს.

მესას ტვინის ძლიერი შერყევა დაუსვეს დიაგნოზად, თუმც მედიკოსები არ გამორიცხავენ, რომ მას ამ საბედისწერო ბრძოლამდეც შერყეული ჰქონდა ჯანმრთელობა. არადა, 26 წლის კოლუმბიელი გამორჩეულად ნიჭიერ მოკრივედ ითვლებოდა — კორდობასთან ბრძოლამდე პროფრინგზე ერთხელაც არ დამარცხებულა, რვა მოგება ჰქონდა და აქედან შვიდი — ნოკაუტით. მესა WBA-ს რეიტინგში დაბალწონოსანთა შორის მე-14 საფეხურზე იმყოფებოდა.

**ილია ნანობაშვილი**



# ბოდიში წამალი არაა
## რუსი მსაჯი: ვერ შევამჩნიე, როგორ გაგიტანეს

**13 დეკემბერს** ცნობილი რუსი ჰოკეისტი იგორ ლარიონოვი მოსკოვში გამოსამშვიდობებელ მატჩს რომ ატარებს, ადრე მოგახსენეთ. 43 წლის ფორვარდი ამ თამაშით ასრულებს თავის უნიკალურ, 27-წლიან და მრავალტიტულიან კარიერას. იგი ხომ იმ რჩეულთა სიაში შედის, რომელთაც ერთბაშად ოლიმპიადა, სტენლის თასი და მსოფლიოს (წარსულში კანადის) თასი მოუგიათ. ამ თამაშზე უამრავი სახელოვანი ნჰლ-ელი ჩავა, მით უმეტეს, რომ 7 დეკემბრიდან დიდი ევროპული ტურნე იწყება.

მაგრამ თურმე შესაძლოა, ლარიონოვი სულაც არ დაემშვიდობოს ჰოკეის და რუსეთში გააგრძელოს კარიერა. ეს თითქმის სენსაციური ამბავი მკითხველებს „სპორტ-ექსპრესმა“ ამცნო. ამ დღეებში რუსეთში ჩასულ ლარიონოვს მშობლიურ კლუბ „ხიმიკის“ პრეზიდენტ იური სლეპცოვთან უსაუბრია და მასთან განუხილავს ყინულზე გასვლის პერსპექტივა. ასე რომ, არაა გამორიცხული, ბებერმა ლომმა ციგურები ჯერ საბოლოოდ არ ჩამოკიდოს ლურსმანზე.

აი, მისი თანამემამულე, ასევე საკმაოდ ცნობილი მცველი დარიუს კასპარაიტისი კი უკვე თამაშობს რუსეთში და, სხვათა შორის, ამით სულაც არაა აღფრთოვანებული. მისივე თქმით, ის დიდხანს ითმენდა, მაგრამ მორიგმა უსამართლობამ საბოლოოდ გამოიყვანა მწყობრიდან.

„წარმოიდგინეთ, რომ შაიბა ტოვებს მოედნის ფარგლებს და მეტოქის სათადარიგოთა სკამზე ხვდება, საიდანაც მას უმალ ყინულზე აბრუნებენ. მოწინააღმდეგეები შეტევას ახორციელებენ და გოლს გვიტანენ. როგორ შეიძლება რუსეთში თამაში, როცა ასეთი რამეები ხდება? ხოლო, როცა არბიტრს ვკითხე რას სჩადიხარ-მეთქი, იცით, რა მითხრა — ბოდიში, ვერ შევამჩნიეო. ნუთუ ვიდეოჩანაწერის ნახვა არ შეეძლო? იცით, რუსეთში დიდი სიამოვნებით დავბრუნდი, მაგრამ ახლა იმედგაცრუებული ვარ. აქ აკრძალულია ხისტად თამაში, მაგრამ ამასთან ერთად თვალს ხუჭავენ უხეშობაზე“ — აი, ასეთი გახლდათ კასპარაიტისის კომენტარი ერთ-ერთი მატჩის შემდეგ, რომელშიაც მისი „აკ ბარსი“ ომსკის „ავანგარდს“ ხვდებოდა. ყველაზე საწყენი კი — თან არა მარტო კასპარაიტისისთვის — ის გახლდათ, რომ ეს ტურის ცენტრალური შეხვედრა იყო, უაღრესად საინტერესოც, მაგრამ სწორედ ზემოთ აღწერილმა გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი.

**სამველ ღარიბიანი**



## ევროლიგა

VI ტური. 8 დეკემბერი

**A ჯგუფი**

პროკომი 78:68 კლიმამიო

**C ჯგუფი**

სკაილაინერზი 80:97 ტაუ
ულქერი 66:64 პანათინაიკოსი
პო ორტეზი 79:72 ბენეტონი
უნიკახა 62:73 ცსკა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge